



საქართველოს 2024 წლის
სახელმწიფო ბიუჯეტის
შესრულების

ბიგოსილვა

საქართველოს პარლამენტის
საბიუჯეტო ოფისი

2025
ივნისი

სარჩევი

ძირითადი მაჩვენებლები	3
სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ზოგადი მიმოხილვა	4
„ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მაკროეკონომიკური პარამეტრები.....	8
სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები	11
შემოსავლები	13
არაფინანსური აქტივების კლება.....	19
ფინანსური აქტივების კლება	20
ვალდებულებების ზრდა	20
სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები	22
ხარჯები	25
არაფინანსური აქტივების ზრდა	30
ფინანსური აქტივების ზრდა	31
ვალდებულებების კლება.....	32
გადასახდელები ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით.....	32
სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტები	34
სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული მხარჯავი დაწესებულებებისა და პროგრამების დაფინანსების მიმოხილვა.....	35
მხარჯავი დაწესებულებები	35
სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამები.....	37
კაპიტალური პროექტები	42
საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები	43
სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება, საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო.....	47
ნაშთის ცვლილება.....	47
საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო	48
ძირითადი მაჩვენებლების შედარება სხვადასხვა ქვეყნების მაჩვენებლებთან	49
საქართველოს მეზობელი ქვეყნები	49
ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნები.....	53
ევროკავშირი და განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნები	57
დანართები.....	61
დანართი 1: ცენტრალური ბიუჯეტის შესრულების მიმოხილვა	61
ცენტრალური ბიუჯეტის შემოსულობები	63
ცენტრალური ბიუჯეტის გადასახდელები	65
დანართი 2: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება (მლნ ლარი).....	70
დანართი 3: სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი (მლნ ლარი)	71
დანართი 4: სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები (მლნ ლარი)	72
გამოყენებული მონაცემების წყარო:	84

ძირითადი მაჩვენებლები (მლნ ლარი)

შემოსულობები - 25,755.3 მლნ ლარი

100.2%
წლიური
გეგმის

104.8%
საწყისი
გეგმის

გადასახდელები - 25,946.3 მლნ ლარი

100.1%
წლიური
გეგმის



103.7%
საწყისი
გეგმის

ნაშთის ცვლილება
-191.1 მლნ ლარი


საოპერაციო სალდო
1,800.3 მლნ ლარი

მთლიანი სალდო
-2,140.9 მლნ ლარი


შემოსულობების და გადასახდელების კომპონენტები



ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტის შეფარდება მშპ-თან




მთავრობის ვალის შეფარდება მშპ-თან



სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ზოგადი მიმოხილვა

„საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით შემოსულობების წლიური გეგმა განსაზღვრული იყო 25,696.0 მლნ ლარით, ხოლო ფაქტობრივად მიღებულმა შემოსულობებმა 25,755.3 მლნ ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის^[1] 100.2%-ს და საწყისი წლიური გეგმის (24,569.5 მლნ ლარი) 104.8%-ს უტოლდება, ხოლო წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 3,075.2 მლნ ლარით (13.6%-ით) აღემატება.


დიაგრამა 1. შემოსულობების შესრულება წლიურ გეგმებთან მიმართებით (მლრდ ლარი, %)



რაც შეეხება წლიური გეგმის შესრულებას შემოსულობების კომპონენტების მიხედვით, შემოსავლების (100.6%), არაფინანსური (100.4%) და ფინანსური (114.9%) აქტივების კლების კომპონენტების საგეგმო მაჩვენებლები გადაჭარბებით არის შესრულებული, ხოლო ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობები კარგი შესრულებით ხასიათდება (წლიური გეგმის 96.8%). საწყისი წლიურ გეგმებთან მიმართებით, შემოსავლებისა და არაფინანსური აქტივების კლების კომპონენტები, უფრო მეტი, შესაბამისად 5.4%-იანი და 50.7%-იანი გადაჭარბებით გამოირჩევა, ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობები კი - 97.7%-ს შეადგენს, ხოლო ფინანსური აქტივების კლების მუხლით შემოსულობებს გეგმის შესრულების იგივე მაჩვენებლები აქვს.

2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების წლიური გეგმა განსაზღვრული იყო 25,930.4 მლნ ლარით, ფაქტობრივად გადასახდელებმა კი 25,946.3 მლნ ლარი შეადგინა^[2], რაც წლიური გეგმის 100.1%-ს და საწყისი წლიური გეგმის (25,030.4 მლნ ლარი) 103.7%-ს უტოლდება, ხოლო წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 3,596.2 მლნ ლარით (16.1%-ით) მეტია.

დიაგრამა 2. გადასახდელების შესრულება წლიურ გეგმებთან მიმართებით (მლრდ ლარი, %)



გადასახდელების ყველაზე დიდი კომპონენტი, ხარჯები, წლიური გეგმის 100.4%-ს შეადგენს. გადაჭარბებით არის შესრულებული, ასევე, ფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტის მაჩვენებელიც (140.2%), ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდისა და ვალდებულებების კლების კომპონენტები გეგმის შესრულების კარგი (შესაბამისად, 96.4% და 98.6%) დონით გამოირჩევა. დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებით, გადასახდელების ყველა კომპონენტს შესრულების კარგი მაჩვენებლები აქვს (96.3%-102.0%-ის ფარგლებში). რაც შეეხება საწყისი გეგმასთან მიმართებას, ხარჯების (104.9%), არაფინანსური (101.5%) და ფინანსური (119.5%) აქტივების ზრდის კომპონენტების გეგმის შესრულების მაჩვენებლები, გადაჭარბებით გამოირჩევა, ხოლო ვალდებულებების კლების მუხლით გადასახდელები, საწყისი წლიური გეგმის 90.6%-ია.

[1] წარმოდგენილ დოკუმენტში 2024 წლის საწყისი წლიური გეგმა გულისხმობს 2023 წლის დეკემბერში დამტკიცებულ 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მაჩვენებლებს, ხოლო წლიური გეგმა - 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის დეკემბრის ცვლილების გათვალისწინებით განსაზღვრულ გეგმიურ მაჩვენებლებს.


[2] გადასახდელების და მისი ცალკეული კომპონენტების ფაქტობრივი შესრულების გადაჭარბება გეგმასთან მიმართებით გამოწვეულია გრანტების და კრედიტების ფარგლებში საინვესტიციო პირდაპირი ჩარიცხვებით და მიზნობრივი გრანტის მხოლოდ შესრულების მაჩვენებლებში ასახვით.

ცხრილი 1. 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახადები კომპონენტების მიხედვით (მლნ ლარი, %)

	2024 საწყისი გეგმა	2024 წლიური გეგმა	2024 დაბუსტ. გეგმა	2024 ფაქტი	საწყისი გეგმის შესრულების %	წლიური გეგმის შესრულების %	დაბუსტ. გეგმის შესრულების %
შემოსულობები	24,569.5	25,696.0	25,696.0	25,755.3	104.8%	100.2%	100.2%
შემოსავლები	20,731.0	21,726.0	21,726.0	21,848.8	105.4%	100.6%	100.6%
არაფინანსური აქტივების კლება	200.0	300.0	300.0	301.3	150.7%	100.4%	100.4%
ფინანსური აქტივების კლება	300.0	300.0	300.0	344.6	114.9%	114.9%	114.9%
ვალდებულებების ზრდა	3,338.5	3,370.0	3,370.0	3,260.6	97.7%	96.8%	96.8%
გადასახადები	25,030.4	25,930.4	25,930.4	25,946.3	103.7%	100.1%	100.1%
ხარჯები	19,120.9	19,961.8	20,082.8	20,048.5	104.9%	100.4%	99.8%
არაფინანსური აქტივების ზრდა	4,180.6	4,399.7	4,160.4	4,242.5	101.5%	96.4%	102.0%
ფინანსური აქტივების ზრდა	305.6	260.6	379.5	365.3	119.5%	140.2%	96.3%
ვალდებულებების კლება	1,423.4	1,308.4	1,307.8	1,290.0	90.6%	98.6%	98.6%
ნაშთის ცვლილება	-460.9	-234.4	-234.4	-191.1			


სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გადასახადებიდან მიღებული შემოსავლების მიმოხილვა, რაზეც 2024 წელს მიღებული შემოსავლების 92.4% და მთლიანი შემოსულობების 78.4% მოდის. 2024 წელს სახელმწიფო ბიუჯეტმა გადასახადებიდან 20,196.5 მლნ ლარი მიიღო, რაც წლიური გეგმის (20,190.0 მლნ ლარი) 100.0%-ს და საწყისი გეგმის (19,115.0 მლნ ლარი) 105.7%-ს შეადგენს.

დიაგრამა 3. 2024 წელს გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი თვეების მიხედვით (მლნ ლარი)




გადასახადებიდან შემოსავალი, ყველაზე დიდი ოდენობით (2,138.8 მლნ ლარი), 2024 წლის დეკემბერში დაფიქსირდა, ხოლო ყველაზე მცირე ოდენობით - ივნისში (1,353.1 მლნ ლარი), საშუალო ყოველთვიური მაჩვენებელი კი 1,683.0 მლნ ლარს შეადგენს. გადასახადებიდან მიღებული შემოსავლების დიდი წილი დღგ-სა და საშემოსავლო გადასახადზე მოდის, რაც წლიურად, შესაბამისად, 7,558.8 მლნ ლარს და 6,627.7 მლნ ლარს შეადგენს - გადასახადების ჯამური მოცულობის, შესაბამისად, 37.4%-ს და 32.8%-ს.

დიაგრამა 4. 2024 წლის საგადასახადო შემოსავლები (მლნ ლარი)




რაც შეეხება გადასახდელების ყველაზე დიდ კომპონენტს, ხარჯებს, იგი 2024 წელს გაწეული მთლიანი გადასახდელების 77.3%-ს შეადგენს. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები თვეების მიხედვით.

დიაგრამა 5. 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები თვეების მიხედვით (მლნ ლარი).




2024 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯები, ყველაზე დიდი ოდენობით, დეკემბერში გაიწია (2,470.0 მლნ ლარი), ხოლო ყველაზე მცირე ოდენობით - აგვისტოში (1,425.8 მლნ ლარი), ხარჯების ყოველთვიური საშუალო მაჩვენებელი კი 1,670.7 მლნ ლარს შეადგენს. რაც შეეხება ხარჯების სტრუქტურას, ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით, ყველაზე დიდი წილი სოციალური უზრუნველყოფის მუხლზე მოდის, რომელიც 2024 წელს გაწეული ხარჯების 38.8%-ს (7,787.3 მლნ ლარს) შეადგენს. შრომის ანაზღაურების, საქონლისა და მომსახურების და სხვა ხარჯების მუხლებზე მთლიანი ხარჯების, შესაბამისად, 12.9%, 11.5% და 15.1% მოდის, რაც ნომინალურ გამოსახულებაში, შესაბამისად, 2,586.0 მლნ ლარს, 2,301.3 მლნ ლარს და 3,029.7 მლნ ლარს შეადგენს.

დიაგრამა 6. 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების სტრუქტურა (მლნ ლარი)



2024 წელს, სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ 1,800.3 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო მთლიანმა სალდომ - -2,140.9 მლნ ლარი. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2024 წლის საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო, თვეების მიხედვით.


დიაგრამა 7. 2024 წლის საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო, თვეების მიხედვით (მლნ ლარი).



რაც შეეხება ნაშთის ცვლილებას, 2024 წლის დასაწყისისათვის, სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის მოცულობა 1,577.3 მლნ ლარით განისაზღვრა. წლის განმავლობაში მიღებული შემოსულობებისა და გაწეული გადასახდელების გათვალისწინებით, ნაშთის გამოყენებამ 191.1 მლნ ლარი შეადგინა და შესაბამისად, 2024 წლის ბოლოსათვის, სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშზე არსებული ნაშთის მოცულობა 1,386.2 მლნ ლარს გაუტოლდა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი პერიოდის ბოლოს და მისი ცვლილება თვეების მიხედვით.

დიაგრამა 8. 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი პერიოდის ბოლოს და მისი ცვლილება თვეების მიხედვით (მლნ ლარი).



„ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მაკროეკონომიკური პარამეტრები

2023 წლის დეკემბერში, პარლამენტის მიერ დამტკიცებული „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის დანართის - ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორები (საბაზო სცენარი) - მიხედვით, საქართველოს მთავრობის (შემდგომში - მთავრობა) მიერ, 2024 წლის რეალური მშპ-ის ზრდის საპროგნოზო მაჩვენებელი 5.2%-ის დონეზე განისაზღვრა. ამავე პერიოდში, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის (შემდგომში - საბიუჯეტო ოფისი) პროგნოზის მიხედვით, ანალოგიურმა მაჩვენებელმა 5.6% შეადგინა.

2024 წლის დეკემბერში ცვლილება შევიდა „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში. აღნიშნული ცვლილების თანმდევი დოკუმენტის (ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორები - საბაზო სცენარი) მიხედვით, 2024 წლის რეალური მშპ-ის ზრდის საპროგნოზო მაჩვენებელმა 9.0% შეადგინა, ხოლო ამავე პერიოდში, საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, აღნიშნული მაჩვენებელი 9.7%-ით განისაზღვრა.

2024 წელს რეალური მშპ-ის ზრდამ 9.4% შეადგინა, რაც მთავრობის 2024 წლის დეკემბრის პროგნოზს (9.0%) 0.4 პროცენტული პუნქტით აღემატება, ხოლო საბიუჯეტო ოფისის იმავე პერიოდის პროგნოზს (9.7%) 0.3 პროცენტული პუნქტით ჩამორჩება. 2024 წელს ნომინალური მშპ 91,891.8 მლნ ლარს შეადგენს, ხოლო მშპ ერთ სულ მოსახლეზე - 24,871.9 ლარს (9,141.4 აშშ დოლარი).

მშპ-ის დარგობრივ ქრილში ანალიზიდან ვლინდება, რომ 2024 წელს ეკონომიკის ზრდაზე, სუბსიდიების გარდა, ყველა დარგმა დადებითი გავლენა იქონია. განსაკუთრებით აღსანიშნავია ინფორმაციის და კომუნიკაციის (1.26 პპ), განათლების (1.25 პპ), სახელმწიფო მმართველობისა და თავდაცვის (1.03 პპ), მშენებლობის (0.94 პპ), ვაჭრობის (0.93 პპ) და გადასახადების (0.92 პპ) წვლილი. ასევე, საინტერესოა მშპ-ს დარგობრივი სტრუქტურის ანალიზი 2014-2024 წლებში. აღნიშნულ პერიოდში ეკონომიკური ზრდის მთავარი წარმართველი დარგები იყო ტრანსპორტი, ვაჭრობა, ინფორმაცია კომუნიკაცია, მრეწველობა, მშენებლობა და გადასახადები.

საინტერესოა მთლიანი ფაქტორული პროდუქტიულობის დინამიკის კავშირი ეკონომიკურ აქტივობასთან, რომლის შესაფასებლადაც მნიშვნელოვანია გავანალიზოთ, რამდენად შეესაბამება მიმდინარე ეკონომიკური ზრდა იმ პოტენციალს, რომელიც ქვეყანას თავისი რესურსების ოპტიმალური ათვისებისა და გამოყენების პირობებში ექნებოდა. ყველაზე მართებულია, გაანგარიშდეს ე.წ. პოტენციური მშპ და შედარდეს ფაქტობრივ მდგომარეობას. აღნიშნული სხვაობა რეალურ და პოტენციურ მშპ-ს შორის იქნება ე.წ. მშპ-ს გაპი.

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მიერ პოტენციური მშპ-ის შეფასების საფუძველზე ჩანს, რომ 2016 წლიდან უარყოფითი მშპ-ს გაპი არსებითი გაუმჯობესების ტენდენციას ავლენს, მაგრამ 2020 წელს COVID-19 პანდემიით გამოწვეულმა პრობლემებმა უარყოფითად იმოქმედა მშპ-ის გაპზეც და იგი მნიშვნელოვნად გაიზარდა. 2020 წელს ეკონომიკის აქტივობა 5.8%-ით ჩამორჩებოდა მის პოტენციურ დონეს. უნდა აღინიშნოს, რომ 2021 წლის ეკონომიკური ზრდის შედეგად მშპ-ის პოტენციური დონიდან გადახრა მნიშვნელოვნად შემცირდა. კერძოდ, 2021 წელს ეკონომიკის აქტივობა 1.7%-ით ჩამორჩებოდა მის პოტენციურ დონეს. 2022-2024 წლებში მაღალი ეკონომიკური აქტივობის შედეგად, რეალური მშპ მის პოტენციურ დონეს აღემატებოდა, შესაბამისად, მშპ-ს გაპი ამ წლებში დადებითი იყო. კერძოდ, 2024 წელს ეკონომიკის აქტივობა 1.4%-ით აღემატებოდა მის პოტენციურ დონეს.


„ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილია მაკროეკონომიკური პარამეტრების შემდეგი მაქსიმალური ზღვრები:

- საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრული სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტის მთლიან შიდა პროდუქტთან შეფარდება – არაუმეტეს 3 პროცენტისა (ე.წ. ბალანსის/დეფიციტის წესი);
- საქართველოს მთავრობის ვალის მთლიან შიდა პროდუქტთან შეფარდება – არაუმეტეს 60 პროცენტისა (ე.წ. ვალის წესი).

2024 წლის დეკემბერში „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილების შედეგად, აღნიშნული კანონის მე-14 მუხლის მიხედვით, 2024 წლის სახელმწიფო ერთიანი ბიუჯეტის უარყოფითი მთლიანი სალდო 2,144.0 მლნ ლარით განისაზღვრა, რაც პროგნოზირებული მშპ-ის 2.4%-ს შეადგენს.

რაც შეეხება ფაქტობრივ შესრულებას, 2024 წელს, ნომინალურმა მშპ-მა 91,891.8 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო სახელმწიფო ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტმა - 1,746.3 მლნ ლარი, მშპ-ის 1.9%^[3], რაც „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლით განსაზღვრულ მაჩვენებელთან (მშპ-ის 2.4%) შედარებით 0.5 პროცენტული პუნქტით ნაკლებია.

დიაგრამა 9. სახელმწიფო ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტის შეფარდება მშპ-თან, 2020-2024 წლებში (%).



რაც შეეხება „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილ მაკროეკონომიკური პარამეტრების მეორე მაქსიმალურ ზღვარს (ე.წ. ვალის წესი), 2024 წლის დეკემბერში, „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილების შედეგად, ზემოაღნიშნული კანონის მე-14 მუხლის მიხედვით, 2024 წლის ბოლოსთვის, მთავრობის ვალის ზღვრული მოცულობა მშპ-ის 36.8%-ით განისაზღვრა, ხოლო საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტების ფარგლებში აღებული ვალდებულებების მიმდინარე ღირებულება (2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (წინასწარი მონაცემებით)) – მშპ-ის 0.047%-ით.

[3] მთავრობის ინფორმაციით აღნიშნული მაჩვენებელი მოიცავს სამთავრობო სექტორისათვის მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების მონაცემებს. ამასთან, ავტონომიური რესპუბლიკების და მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სახელმწიფო საწარმოების მონაცემები დაზუსტდება 2026-2029 წლების მაკროეკონომიკური და ფისკალური პროგნოზების მომზადების დროს.


ფაქტობრივად კი, მთავრობის ვალის ნაშთმა, 2024 წლის 31 დეკემბრისათვის, 33,169.3 მლნ ლარი, მშპ-ის 36.1% შეადგინა, ხოლო საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტების ფარგლებში აღებული ვალდებულებების მიმდინარე ღირებულება (2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (წინასწარი მონაცემებით)) 43.1 მლნ ლარს გაუტოლდა (მშპ-ის 0.047%). ჯამურად, აღნიშნული ვალდებულებები მშპ-ის 36.1%-ია (დადგენილი ზღვარი - არაუმეტეს 60%).

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მთავრობის ვალის ნაშთიდან, „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სახელმწიფო ვალი, გარდა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღებული ვალდებულებებისა, 33,136.1 მლნ ლარს შეადგენს, ხოლო საბიუჯეტო ორგანიზაციების სესხების არსებული ნაშთი - 33.2 მლნ ლარს.

ამასთან, 2024 წლისთვის, მთავრობის საგარეო ვალის ნაშთი, 23,121.3 მლნ ლარი, მთავრობის ვალის მთლიანი მოცულობის 69.7%-ია. აღნიშნული მაჩვენებელი, წინა წლებთან შედარებით, შემცირებულია, კერძოდ, 2023 წელს იგი 72.7%-ს შეადგენს, 2022 წელს - 74.8%-ს, 2021 წელს - 80.4%-ს ხოლო 2019-2020 წლებში - 79.1%-ს. მთავრობის საგარეო ვალის დიდი ნაწილი მიღებულია მრავალმხრივი და ორმხრივი დონორებისგან/პარტნიორებისგან. მთავრობის საგარეო ვალის პორტფელის 47.4% ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე კრედიტებისგან შედგება.

მთავრობის საშინაო ვალის ნაშთი 10,048.0 მლნ ლარს უტოლდება (მთავრობის ვალის 30.3%). აქედან, სახაზინო ვალდებულებების და ობლიგაციების ნაწილში არსებული ნაშთი 9,822.0 მლნ ლარს შეადგენს, საქართველოს ეროვნული ბანკისთვის და ღია ბაზრის ოპერაციებისათვის ობლიგაციები - 192.8 მლნ ლარს, ხოლო საბიუჯეტო ორგანიზაციების სესხის სახით არსებული ნაშთი - 33.2 მლნ ლარს (მ.შ. სამთავრობო სექტორისათვის მიკუთვნებული სახელმწიფო სანარმოების სესხის სახით არსებული ნაშთი 7.5 მლნ ლარია).

დიაგრამა 10. მთავრობის ვალის შეფარდება მშპ-თან, 2020-2024 წლებში (%).



ცხრილი 2. მთავრობის ვალის ნაშთის სტრუქტურა 31.12.2024 მდგომარეობით (მლნ ლარი)


დასახელება	ნაშთი 31.12.2024 მდგომარეობით
მთავრობის საგარეო ვალის ნაშთი	23,121.3
მრავალმხრივი კრედიტორებისგან	17,558.8
ორმხრივი კრედიტორებისგან	4,159.1
სხვა საგარეო ვალდებულებები	1,403.4
მთავრობის საშინაო ვალის ნაშთი	10,048.0
სულ მთავრობის ვალის ნაშთი	33,169.3

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

„საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით, შემოსულობების წლიური გეგმა 25,696.0 მლნ ლარით განისაზღვრა, ფაქტობრივად კი 25,755.3 მლნ ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის 100.2%-ს და საწყისი წლიური გეგმის (24,569.5 მლნ ლარი) 104.8%-ს უტოლდება, ხოლო წინა წლის ანალოგიურ მარგენებელს 3,075.2 მლნ ლარით (13.6%-ით) აღემატება.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, ნომინალურ გამოხატულებაში, ყოველწლიური ზრდის ტენდენციით და ზრდის ტემპის მარგენებელთა ცვალებადობით გამოირჩევა. 2016-2024 წლებში, შემოსულობების საშუალო ზრდის ტემპი 11.6%-ია, 2024 წლისათვის კი აღნიშნული მარგენებელი 13.6%-ს შეადგენს.

დიაგრამა 11. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების მარგენებელთა %-ული ცვლილება წინა წელთან შედარებით 2016-2024 წლებში



რაც რაც შეეხება 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გეგმის შესრულებას შემოსულობების კომპონენტების მიხედვით, ყველა კომპონენტი (გარდა ვალდებულებების ზრდისა, რომელიც გეგმის 96.8%-ს შეადგენს) გადაჭარბებით ხასიათდება: შემოსავლები და არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან შემოსულობები შესაბამისად, 100.6%-ს და 100.4%-ს უტოლდება, ხოლო ფინანსური აქტივების კლების მუხლით შემოსულობები მნიშვნელოვანი გადაჭარბებით გამოირჩევა და 114.9%-ს აღწევს.


ცხრილი 3. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები 2023-2024 წლებში (მლნ ლარი, %).

	2023 ფაქტი	2024 საწყისი გეგმა	2024 წლიური გეგმა	2024 ფაქტი	წლიური გეგმის შესრულების %	საწყისი გეგმის შესრულების %	%-ული ცვლილება წინა წელთან
სულ შემოსულობები	22,680.0	24,569.5	25,696.0	25,755.3	100.2%	104.8%	13.6%
შემოსავლები	18,716.5	20,731.0	21,726.0	21,848.8	100.6%	105.4%	16.7%
გადასახადები	16,994.2	19,115.0	20,190.0	20,196.5	100.0%	105.7%	18.8%
გრანტები	325.8	266.0	266.0	335.9	126.3%	126.3%	3.1%
სხვა შემოსავლები	1,396.5	1,350.0	1,270.0	1,316.4	103.7%	97.5%	-5.7%
არაფინანსური აქტივების კლება	203.4	200.0	300.0	301.3	100.4%	150.7%	48.2%
ფინანსური აქტივების კლება	290.8	300.0	300.0	344.6	114.9%	114.9%	18.5%
ვალდებულებების ზრდა	3,469.3	3,338.5	3,370.0	3,260.6	96.8%	97.7%	-6.0%
საგარეო	2,009.9	1,838.5	1,870.0	1,739.3	93.0%	94.6%	-13.5%
საშინაო	1,459.4	1,500.0	1,500.0	1,521.3	101.4%	101.4%	4.2%

საწყისი გეგმის მიმართ (რომელიც 2023 წლის დეკემბერში დამტკიცდა), შემოსულობების კომპონენტებს (გარდა ფინანსური აქტივების კლებისა, რომლის გეგმის შესრულების მარგენებელი იგივეა) განსხვავებული (გაზრდილი) მარგენებლები აქვს და 97.7% - 150.7%-ის ფარგლებში მერყეობს (მ.შ. არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან შემოსულობები ყველაზე მაღალი მარგენებით გამოირჩევა, ხოლო ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობები - შედარებით დაბალი მარგენებით).


2023 წელთან შედარებით, შემოსულობების ჯამური მაჩვენებელი გაზრდილია 3,075.2 მლნ ლარით. აღნიშნული 13.6%-იანი მატება ძირითადად განპირობებულია, ერთი მხრივ, შემოსავლების 16.7%-იანი (3,132.4 მლნ ლარით) ზრდით და მეორე მხრივ, ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობების 6.0%-იანი (208.8 მლნ ლარით) შემცირებით (საგარეო წყაროდან სესხების 13.5%-იანი კლების გავლენით). რაც შეეხება დანარჩენ კომპონენტებს, არაფინანსური და ფინანსური აქტივებით ოპერაციებიდან შემოსულობებიც მნიშვნელოვნად მომატებულია (შესაბამისად, 97.9 მლნ ლარით და 53.7 მლნ ლარით).

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები 2015-2024 წლებში შემადგენელი კომპონენტების მიხედვით.




როგორც დიაგრამაზეა გამოსახული, ბოლო წლების განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები ზრდადი ტენდენციით ხასიათდება, რაც გამოწვეულია მისი ძირითადი კომპონენტების - შემოსავლებისა და ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობების მნიშვნელოვანი მატებით. 2016-2024 წლებისთვის ვალდებულებების ზრდით შემოსულობების საშუალო ზრდის ტემპი (22.3%) გაცილებით მაღალია შემოსავლების ანალოგიურ მაჩვენებელთან (11.9%) შედარებით, თუმცა 2024 წელს წინა წელთან შედარებით ვალდებულებების ზრდით შემოსულობები 6.0%-ით შემცირებულია, ხოლო შემოსავლები 16.7%-ით გაზრდილია, რაც შესაბამისად აისახება მთლიანი შემოსულობების სტრუქტურაზეც: 2024 წელს, წინა წელთან შედარებით, შემოსავლების წილი მთლიან შემოსულობებში 82.5%-დან 84.8%-მდე გაზრდილია, ხოლო ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობების წილი 15.3%-დან 12.7%-მდე შემცირებულია.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2015-2024 წლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების კომპონენტების პროცენტული განაწილება.



შემოსულობების ანალიზისას საინტერესოა, ასევე, მისი თვეების მიხედვით მიმოხილვა: 2024 წელს, შემოსულობების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (2,853.4 მლნ ლარი) დეკემბერში დაფიქსირდა, ხოლო ყველაზე დაბალი - მაისში (1,769.8 მლნ ლარი). უფრო კონკრეტულად, წლიურ ჯამურ მაჩვენებელთან მიმართებით, წლიურად მიღებული შემოსულობების 11.1% დეკემბერში მოხილვდა, 6.9% - მაისში, დანარჩენი 10 თვის საშუალო მაჩვენებელმა კი 8.2% შეადგინა. დეკემბერში შემოსულობების აკუმულაციის მაღალი მაჩვენებელი, ძირითადად, აღნიშნულ თვეში, შემოსავლების მაქსიმალური ოდენობით (წლიური მოცულობის 10.4%) მიღებას უკავშირდება, აგრეთვე, სხვა დანარჩენი შემოსულობების მოხილვების მაღალ მაჩვენებლებს. აღსანიშნავია, რომ წლის განმავლობაში, ყველაზე მეტი ოდენობით შემოსულობები, ფინანსური აქტივების ოპერაციებიდან - იანვარში შემოვიდა (წლიური მოცულობის 39.9%, 137.3 მლნ ლარი), არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან - სექტემბერში (წლიური მოცულობის 27.2%, 82.1 მლნ ლარი), ხოლო ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობებიდან - ივნისში (წლიური მოცულობის 14.8%, 481.9 მლნ ლარი). მაისში შემოსულობების მოხილვების დაბალი მაჩვენებელი დაკავშირებულია, აღნიშნულ თვეში, ძირითადად, საშინაო ვალის დასაფარავად, საშინაო ვალდებულებების მუხლით წმინდა შემოსულობის შემცირებასთან (139.8 მლნ ლარით).



შემოსავლები

2024 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებმა 21,848.8 მლნ ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის (21,726.0 მლნ ლარი) 100.6%-ს შეადგენს, ხოლო წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 3,132.4 მლნ ლარით (16.7%-ით) აღემატება (ძირითადად გადასახადების მნიშვნელოვანი მატების გავლენით). შემოსავლების ცალკეული კომპონენტებიდან:

- საგადასახადო შემოსავლებს სახით სახით (რომლის ხარჯზეც განხორციელდა შემოსავლების 92.4%-ის ფორმირება), 2024 წლის განმავლობაში, მოხილვებულია 20,196.5 მლნ ლარი, წლიური გეგმის (20,190.0 მლნ ლარი) 100.0%, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს მნიშვნელოვნად, 3,202.4 მლნ ლარით (18.8%-ით) აღემატება.

ცხრილი 4. სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები, 2023-2024 წლებში (მლნ ლარი, %)


	2023 ფაქტი	2024 საწყისი გეგმა	2024 წლიური გეგმა	2024 ფაქტი	წლიური გეგმის შესრულების %	საწყისი გეგმის შესრულების %	%-ული ცვლილება წინა წელთან
საგადასახადო შემოსავლები	16,994.2	19,115.0	20,190.0	20,196.5	100.0%	105.7%	18.8%
საშემოსავლო გადასახადი	5,574.8	6,345.1	6,598.9	6,627.7	100.4%	104.5%	18.9%
მოგების გადასახადი	2,018.2	2,690.0	3,070.0	3,117.5	101.5%	115.9%	54.5%
დღგ	6,793.7	7,388.3	7,541.1	7,558.8	100.2%	102.3%	11.3%
აქციზი	2,270.3	2,375.0	2,380.0	2,488.0	104.5%	104.8%	9.6%
იმპორტის გადასახადი	151.2	150.0	135.0	138.9	102.9%	92.6%	-8.1%
სხვა გადასახადები	186.0	166.6	465.0	265.6	57.1%	159.4%	42.7%

საგადასახადო შემოსავლების საწყისი წლიური გეგმა 19,115.0 მლნ ლარს შეადგენდა, თუმცა წლის განმავლობაში, დაგეგმილთან შედარებით, მაღალი ეკონომიკური ზრდისა და გადასახადების ფაქტობრივი მობილიზების გათვალისწინებით, 2024 წლის დეკემბრის ცვლილებით, სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახადების საგეგმო მარჯვენებელი 1,075.0 მლნ ლარით გაიზარდა და 20,190.0 მლნ ლარის დონეზე განისაზღვრა.

წლიური (საბოლოო) გეგმის მარჯვენებელთან მიმართებით, თითქმის ყველა გადასახადი (სხვა გადასახადის გარდა) გადაჭარბებით ხასიათდება და 100.2%-104.5%-ის ფარგლებში მერყეობს (მ.შ. აქციზი ყველაზე მაღალი მარჯვენებელით გამოირჩევა). რაც შეეხება სხვა გადასახადებს, აღნიშნულის სახით, წლიურად 465.0 მლნ ლარი იყო დაგეგმილი, ფაქტობრივი მარჯვენებელი კი 265.6 მლნ ლარს შეადგენს (57.1%)^[4]. აღსანიშნავია, რომ 2024 წელს, ზედმეტად გადახდილი გადასახადების სახით, ჯამურად, დაბრუნებულ იქნა 2,546.9 მლნ ლარი (აღნიშნული მარჯვენებელი 2023 წელს 2,331.6 მლნ ლარს შეადგენდა, 2022 წელს - 2,266.0 მლნ ლარს).

წინა წლის მარჯვენებელთან შედარებით, გადასახადების მოცულობა გაზრდილია 3,202.4 მლნ ლარით (18.8%-ით). შემოსავალი ყველა სახის გადასახადიდან მომატებულია (იმპორტის გადასახადის გარდა, რომელიც 12.3 მლნ ლარით შემცირებულია). აღნიშნული ზრდა დიდწილად განპირობებულია საშემოსავლო და მოგების გადასახადების მნიშვნელოვანი (შესაბამისად, 18.9%-იანი და 54.5%-იანი), აგრეთვე, დღგ-ისა და აქციზის მატებით. საშემოსავლო გადასახადის ზრდა, ძირითადად, დამქირავებლის მიერ დაკავებული საშემოსავლო გადასახადის 748.3 მლნ ლარით (15.5%-ით) მატებას უკავშირდება. დღგ-ის სახით სახელმწიფო ბიუჯეტში 7,558.8 მლნ ლარი ჩაირიცხა, წინა წელთან შედარებით, 765.1 მლნ ლარით მეტი (მ.შ. საქართველოს ტერიტორიაზე რეალიზებული პროდუქციიდან და გაწეული მომსახურებიდან შემოსულია 290.0 მლნ ლარით, ხოლო იმპორტირებული პროდუქციიდან, რომელიც დღგ-ის ჯამური სიდიდის 62.5%-ს შეადგენს - 475.1 მლნ ლარით მეტი). 9.6%-ით (217.8 მლნ ლარით) გაზრდილია აქციზი, ძირითადად, იმპორტირებული პროდუქციის დაბეგვრიდან შემოსავლის 195.9 მლნ ლარით ზრდის გავლენით (მ.შ. თამბაქოს დაბეგვრიდან მიღებულია 215.2 მლნ ლარით მეტი შემოსავალი).

დიაგრამა 15. სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები 2015-2024 წლებში (მლნ ლარი).



[4] 2016 წელს სახაზინო კოდექსის სისტემის რეფორმის საფუძველზე, სხვა გადასახადების მუხლიდან ხორციელდება თანხის გადატანა საგადასახადო შემოსავლის ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნების ქვეანგარიშზე. შესაბამისად, სხვა გადასახადის მარჯვენებელი, კონკრეტულ საანგარიშო, პერიოდში შესაძლებელია იყოს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი სიდიდე.

საგადასახადო შემოსავლების ანალიზისას საინტერესოა, განხილულ იქნას ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები. ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მოცულობა, საწყისი წლიური გეგმის თანდართული პროგნოზით, 22,053.0 მლნ ლარს შეადგენდა, ხოლო საქართველოს მთავრობის მიერ განახლებული პროგნოზით (რომელიც წარმოდგენილი იყო 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის დეკემბრის ცვლილებასთან ერთად) ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 23,260.0 მლნ ლარით განისაზღვრა. საბიუჯეტო ოფისის მიერ 2023 წლის დეკემბერში გამოქვეყნებული პროგნოზის მიხედვით, 2024 წლის ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მოცულობა 22,389.0 მლნ ლარით განისაზღვრა, ხოლო 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის დეკემბრის ცვლილებით წარმოდგენილი ინფორმაციის გათვალისწინებით, აღნიშნული პროგნოზი დაკორექტირდა და 23,622.0 მლნ ლარამდე გაიზარდა.


რაც შეეხება საპროგნოზო მაჩვენებელთა შესრულებას, 2024 წელს მობილიზებული ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების ფაქტობრივი მაჩვენებელი 23,290.0 მლნ ლარს შეადგენს, რაც მთავრობის თავდაპირველი პროგნოზის 105.6%-ს და განახლებული პროგნოზის 100.1%-ს წარმოადგენს, ხოლო საბიუჯეტო ოფისის თავდაპირველი პროგნოზის 104.0%-ს და განახლებული პროგნოზის 98.6%-ს შეადგენს.

ცხრილი 5. ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები 2024 წელს (მლნ ლარი, %)

	მთავრობის პროგნოზი	საბიუჯეტო ოფისის პროგნოზი	2024 ფაქტი	2024 ფაქტი/ მთავრობის პროგნოზი	2024 ფაქტი/ საბიუჯეტო ოფისის პროგნოზი
საგადასახადო შემოსავლები	23,260	23,622	23,290	100.1%	98.6%
არაპირდაპირი გადასახადები	11,825	11,822	11,959	101.1%	101.2%
პირდაპირი გადასახადები	11,435	11,800	11,331	99.1%	96.0%


ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების დინამიკა 2015-2024 წლებში ზრდადი ტენდენციით ხასიათდება (გარდა 2020 წლისა). 2016-2024 წლებში საგადასახადო შემოსავლების საშუალო ზრდის ტემპი 13.0%-ს შეადგენს, 2024 წელს კი ფაქტობრივი მაჩვენებელი 2023 წლის მონაცემს 18.0%-ით (3,557.4 მლნ ლარით) აღემატება. რაც შეეხება ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების შეფარდებას მთლიან შიდა პროდუქტთან, 2024 წელს, აღნიშნული მაჩვენებელი, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, 0.9%-ული პუნქტით გაზრდილია და 25.3%-ს შეადგენს.

დიაგრამა 16. ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები და მათი შეფარდება მშპ-თან 2015-2024 წლებში, (მლნ ლარი, %).



ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების ანალიზისას საინტერესოა პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადებიდან მიღებული შემოსავლების ანალიზი. 2024 წელს მიღებული საგადასახადო შემოსავლის 51.3% (11,958.8 მლნ ლარი^[5]) არაპირდაპირ გადასახადებზე მოდის, ხოლო 48.7% (11,331.2 მლნ ლარი) - პირდაპირი გადასახადებზე.

დიაგრამა 17. ნაერთი ბიუჯეტის პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადებიდან მიღებული შემოსავლების სტრუქტურა, 2015-2024 წლებში (%)



2024 წელს, 2023 წელთან შედარებით, როგორც პირდაპირი, ასევე, არაპირდაპირი გადასახადების სახით მიღებული შემოსავლები გაზრდილია, თუმცა მათი პროცენტული განაწილება მცირედით (3.4%-ული პუნქტით) შეცვლილია: არაპირდაპირი გადასახადების წილი შემცირებულია, ხოლო პირდაპირი გადასახადების წილი - გაზრდილი.


რაც შეეხება წინა წლების პროცენტულ განაწილებას, 2016 წელს პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადები თითქმის თანაბრად ნაწილდება საგადასახადო შემოსავლებში (არაპირდაპირი გადასახადები - 50.4%; პირდაპირი გადასახადები - 49.6%), 2017-2021 წლებში, პირდაპირი გადასახადების დინამიკას კლებადი ხასიათი აქვს, ხოლო არაპირდაპირი გადასახადების დინამიკას - ზრდადი. 2021 წლიდან, აღნიშნული გადასახადების სტრუქტურა საპირისპირო ტენდენციით იცვლება - პირდაპირი გადასახადები კვლავ ზრდის, ხოლო არაპირდაპირი გადასახადები კლების ტენდენციას იძენს და 2024 წელს მათი პროცენტული განაწილება უახლოვდება ერთმანეთს: წინა წელთან შედარებით, პირდაპირი გადასახადების წილი მთლიან გადასახადებში 45.2%-დან 48.7%-მდე გაზრდილია, ხოლო არაპირდაპირი გადასახადების წილი 54.8%-დან 51.3%-მდე შემცირებულია.

- გრანტების სახით ბიუჯეტში 335.9 მლნ ლარია მიღებული, წლიური გეგმით გათვალისწინებული მაჩვენებლის 126.3%. აღნიშნული გადაჭარბება, ძირითადად, დაკავშირებულია საბიუჯეტო ორგანიზაციებზე დონორების მიერ გამოყოფილ მიზნობრივი დანიშნულების გრანტებთან, რომლის სახით 83.4 მლნ ლარია მიღებული (მოცემული სახის გრანტი გეგმით არ გაითვალისწინება და შესაბამისად, გრანტების ჯამური მოცულობის ზრდაზე ახდენს გავლენას), აგრეთვე, ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ-ებიდან 146.8 მლნ ლარის ოდენობით (გეგმის 127.6%) გრანტის სახით მიღებულ შემოსავალთან. გარდა ამისა, საინვესტიციო გრანტების სახით, ბიუჯეტში 44.2 მლნ ლარია მიღებული (წლიური გეგმის 86.6%), ხოლო ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტების სახით - 61.6 მლნ ლარი (გეგმის 61.6%). 2023 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, 2024 წელს, გრანტების მოცულობა 10.1 მლნ ლარით (3.1%-ით) გაზრდილია, რაც ძირითადად ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ-ებიდან გრანტის სახით მიღებული შემოსავლის 12.6%-ით (16.4 მლნ ლარით) მატებას უკავშირდება.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის გრანტების სახით მიღებული შემოსავლები კომპონენტების მიხედვით 2015-2024 წლებში.

[5] მათ შორის, 2024 წელს დღგ-ის სახით მობილიზებულ იქნა 9,331.8 მლნ ლარი (გასულ წელთან შედარებით 944.6 მლნ ლარით მეტი), რომლის 19%, 1,773.1 მლნ ლარის ოდენობით, მიმართულ იქნა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტში.

დიაგრამა 18. გრანტების დინამიკა კომპონენტების მიხედვით 2015-2024 წლებში (მლნ ლარი)



• სხვა შემოსავლების სახით ბიუჯეტში მიღებულია 1,316.4 მლნ ლარი, წლიური გეგმის 103.7%. სხვა შემოსავლები, სახეების მიხედვით (გარდა საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან შემოსავლებისა, რომლის სახით მიღებულია გეგმის 98.2%), გეგმასთან შედარებით, ასევე, გადაჭარბებით ხასიათდება, რაც ძირითადად დაკავშირებულია საკუთრებიდან მიღებულ შემოსავლებთან და არაკლასიფიცირებულ ტრანსფერებთან, რომელთა სახით ბიუჯეტში შემოსულია, შესაბამისად, 15.5 მლნ ლარით და 26.9 მლნ ლარით მეტი.

ცხრილი 6. სახელმწიფო ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 2023-2024 წლებში (მლნ ლარი, %)

	2023 ფაქტი	2024 საწყისი გეგმა	2024 წლიური გეგმა	2024 ფაქტი	წლიური გეგმის შესრულების %	საწყისი გეგმის შესრულების %	%-ული ცვლილება წინა წელთან
სხვა შემოსავლები	1,396.5	1,350.0	1,270.0	1,316.4	103.7%	97.5%	-5.7%
შემოსავლები საკუთრებიდან	818.5	826.2	702.9	718.4	102.2%	87.0%	-12.2%
პროცენტები	322.4	280.0	320.0	331.2	103.5%	118.3%	2.8%
დივიდენდები	464.7	516.2	352.9	353.1	100.1%	68.4%	-24.0%
სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების მოგებიდან	2.0	51.2	50.1	50.2	100.4%	98.1%	2456.4%
ეროვნული ბანკის მოგებიდან	462.8	465.0	302.9	302.9	100.0%	65.1%	-34.6%
რენტა	31.4	30.0	30.0	34.1	113.5%	113.5%	8.6%
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	104.7	93.8	122.1	119.9	98.2%	127.8%	14.4%
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახადებები	100.5	89.8	118.1	115.2	97.5%	128.2%	14.6%
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	4.3	4.0	4.0	4.7	117.2%	117.2%	9.5%
ჯარიმები, სანქციები და საურავები	155.5	150.0	165.0	171.2	103.8%	114.2%	10.1%
ტრანსფერები რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	317.8	280.0	280.0	306.9	109.6%	109.6%	-3.4%

2024 წელს, სხვა შემოსავლების ჯამური მოცულობის ძირითად ნაწილს (54.6%) საკუთრებიდან შემოსავლები (პროცენტი, დივიდენდები, რენტა) წარმოადგენს, რომლის წლიური გეგმა 702.9 მლნ ლარით განისაზღვრა, ფაქტობრივი მაჩვენებელი კი 718.4 მლნ ლარს (102.2%) გაუტოლდა. კერძოდ:

პროცენტის მუხლით მიღებული შემოსავლები 331.2 მლნ ლარს შეადგენს, რაც 11.2 მლნ ლარით აჭარბებს წლიური გეგმის მაჩვენებელს. პროცენტის მუხლით მიღებული შემოსავლიდან, 199.9 მლნ ლარი, დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტის სახით მიღებული თანხებია, ხოლო 112.4 მლნ ლარი - სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედ საწარმოებზე გაცემული სესხებიდან (კრედიტებიდან) პროცენტის სახით მიღებული თანხები.

დივიდენდების სახით მიღებული შემოსავალი (353.1 მლნ ლარი) წლიური გეგმის (352.9 მლნ ლარი) 100.1%-ს შეადგენს. ძირითადი თანხები, 302.9 მლნ ლარის ოდენობით (წლიური გეგმის 100.0%), მობილიზებულია ეროვნული ბანკის მოგებიდან. რაც შეეხება სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების მოგებიდან დივიდენდებს, ბიუჯეტში ამ მიმართულებით მიღებულია 50.2 მლნ ლარი^[6] (გეგმის 100.4%). ფენტის მუხლით შემოსავალი 34.1 მლნ ლარს, წლიური გეგმის 113.5%-ს შეადგენს, მ.შ. ძირითადი თანხები, 30.3 მლნ ლარის ოდენობით, მობილიზებულია სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საფასურით მიღებული შემოსავლებიდან (წინა წელს აღნიშნული შემოსავალი შეადგენდა 27.6 მლნ ლარს).


სხვა შემოსავლების ჯამური მოცულობის, ასევე, დიდ ნაწილს (23.3%) არაკლასიფიცირებული ტრანსფერებიდან შემოსავლები შეადგენს, რომლის სახით მიღებულია 306.9 მლნ ლარი, წლიური გეგმის 109.6%. მათ შორის, მნიშვნელოვანი თანხები შემოვიდა გზატარებლობის საფასურიდან (179.4 მლნ ლარი), წინა წელს გამოუყენებელი და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრების (48.5 მლნ ლარი), ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან (9.4 მლნ ლარი) შემოსავლების სახით.

საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან 119.9 მლნ ლარია მიღებული (წლიური გეგმის 98.2%), რაც ძირითადად, ადმინისტრაციული მოსაკრებლებიდან და გადასახდელებიდან მიღებულ შემოსავლებზე მოდის.

სანქციებიდან (ჯარიმებიდან და საურავებიდან), 171.2 მლნ ლარია მობილიზებული (წლიური გეგმის 103.8%), საიდანაც ძირითადი თანხები, 125.8 მლნ ლარის ოდენობით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო სანქციებზე მოდის (მ.შ. საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამო სანქციებიდან შემოსულია 87.2 მლნ ლარი) და 32.5 მლნ ლარის ოდენობით - სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით გათვალისწინებული სამართალდარღვევების გამო სანქციებზე.

2024 წელს, წინა წელთან შედარებით, სხვა შემოსავლების ფაქტობრივი მაჩვენებელი 80.1 მლნ ლარით (5.7%ით) შემცირებულია, რაც ძირითადად, საკუთრებიდან შემოსავლების 12.2%-იან კლებასთან არის დაკავშირებული, ეროვნული ბანკის მოგებიდან დივიდენდების შემცირების გავლენით (აღნიშნული შემოსავლის სახით, 2023 წელს, ბიუჯეტში 159.9 მლნ ლარით მეტი, 462.8 მლნ ლარი ჩაირიცხა). მცირე ოდენობით (10.9 მლნ ლარით) შემცირებულია, ასევე, შემოსავლებიც არაკლასიფიცირებული ტრანსფერებიდან.

დიაგრამა 19. სახელმწიფო ბიუჯეტის სხვა შემოსავლები კომპონენტების მიხედვით, 2015-2024 წლებში (მლნ ლარი)



[6] 2024 წლის იანვარში, შპს „გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ მიერ, დივიდენდის სახით, წინა წლების გაუნაწილებელი მოგებიდან, სახელმწიფო ბიუჯეტში ჩაირიცხულ იქნა 50 მლნ ლარი.

არაფინანსური აქტივების კლება


არაფინანსური აქტივების კლების მუხლით შემოსულობები 301.3 მლნ ლარს, წლიური გეგმის 100.4%-ს (საწყისი გეგმის 150.7%) შეადგენს. მათ შორის, არანარმოებული აქტივების რეალიზაციიდან შემოსულობები 5.3%-იანი გადაჭარბებითა არის შემოსული და 89.5 მლნ ლარს უტოლდება (ძირითადად, მიწის რეალიზაციიდან, დაგეგმილთან შედარებით, 20.6%-ით, 4.3 მლნ ლარით მეტი ოდენობით თანხების მიღების გავლენით), ძირითადი აქტივების რეალიზაციიდან კი ბიუჯეტში 211.8 მლნ ლარი ჩაირიცხა, რაც წლიური გეგმის 98.5%-ია.

2023 წელთან შედარებით, არაფინანსური აქტივების კლების მუხლით შემოსულობები 97.9 მლნ ლარით (48.2%-ით) გაზრდილია, რაც როგორც ძირითადი აქტივების, ასევე, არანარმოებული აქტივების რეალიზაციიდან შემოსულობების მატებას უკავშირდება.

2024 წელს, წინა წელთან შედარებით, ძირითადი აქტივების რეალიზაციიდან სახელმწიფო ბიუჯეტში 39.2 მლნ ლარით მეტი, 211.8 მლნ ლარი, ჩაირიცხა, მ.შ. საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის არასაცხოვრებელი შენობების გაყიდვიდან შემოსულობამ 187.9 მლნ ლარს მიაღწია (2023 წელს ანალოგიური მაჩვენებელი 139.8 მლნ ლარს შეადგენდა). არანარმოებული აქტივების რეალიზაციიდან, თითქმის 3-ჯერ მეტი, 89.5 მლნ ლარი ჩაირიცხა, რაც რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიიდან მნიშვნელოვანი თანხების (64.2 მლნ ლარის) მიღებას უკავშირდება 2023 წელს აღნიშნული შემოსულობები 2.4 მლნ ლარს შეადგენდა). მიწის რეალიზაციიდან შემოსულობები კი 25.3 მლნ ლარს შეადგენს, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 3.1 მლნ ლარით ნაკლებია. კერძოდ: ადგილობრივი თვითმმართველობის ტერიტორიაზე, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების რეალიზაციიდან, 2024 წელს 21.3 მლნ ლარია მიღებული, ხოლო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გაყიდვიდან - 2.2 მლნ ლარი, 2023 წელს კი ანალოგიური მაჩვენებლები. შესაბამისად, 18.1 მლნ ლარს და 8.4 მლნ ლარს შეადგენდა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია არაფინანსური აქტივების კლების მუხლით შემოსულობები კომპონენტების მიხედვით, 2015-2024 წლებში.


დიაგრამა 20. არაფინანსური აქტივების კლების მუხლით მიღებული შემოსულობები კომპონენტების მიხედვით, 2015-2024 წლებში (მლნ ლარი)



ფინანსური აქტივების კლება

ფინანსური აქტივების კლების მუხლით მიღებული შემოსულობები 344.6 მლნ ლარს, წლიური გეგმის (ასევე, საწყისი წლიური გეგმის) 114.9%-ს შეადგენს, რაც მთლიანად გაცემული სესხების დაბრუნებიდან მიღებულ თანხებზე მოდის. წინა წელთან შედარებით, ფინანსური აქტივების კლებით 53.7 მლნ ლარით (18.5%-ით) მეტი შემოსულობაა მიღებული.

დიაგრამა 21. ფინანსური აქტივების კლების მუხლით მიღებული შემოსულობები, კომპონენტების მიხედვით, 2015-2024 წლებში (მლნ ლარი)



ვალდებულებების ზრდა

ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობების სახით, 2024 წელს, ბიუჯეტში 3,260.6 მლნ ლარი ჩაირიცხა, წლიური გეგმის 96.8% (საწყისი გეგმის 97.7%), კერძოდ, საგარეო დაფინანსების წყაროდან ბიუჯეტში 1,739.3 მლნ ლარი შემოვიდა, წლიური გეგმის 93.0%, მ.შ. ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტების სახით 327.4 მლნ ლარი (წლიური გეგმის 56.5%) ჩაირიცხა, ხოლო საინვესტიციო კრედიტების სახით - 1,411.8 მლნ ლარი (წლიური გეგმის 109.4%).

რაც შეეხება საშინაო ვალდებულებებს (ფასიანი ქაღალდების შესყიდვებისა და დაფარვის ოპერაციების შედეგად ვალდებულებების წმინდა ზრდა), წლის განმავლობაში სახაზინო ფასიანი ქაღალდების გამოშვებით^[7] მიღებულმა თანხამ 3,501.9 მლნ ლარი, ხოლო ძირითადი თანხის დაფარვამ 1,980.6 მლნ ლარი შეადგინა, შედეგად, საშინაო ვალდებულების წმინდა ზრდა 1,521.3 მლნ ლარს გაუტოლდა, რაც წლიური გეგმის 101.4%-ია.

ცხრილი 7. სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების ზრდის მაჩვენებლები 2023-2024 წლებში (მლნ ლარი, %).


	2023 ფაქტი	2024 საწყისი გეგმა	2024 წლიური გეგმა	2024 ფაქტი	წლიური გეგმის შესრულების %	საწყისი გეგმის შესრულების %	%-ული ცვლილება წინა წელთან
ვალდებულებების ზრდა	3,469.3	3,338.5	3,370.0	3,260.6	96.8%	97.7%	-6.0%
საშინაო	1,459.4	1,500.0	1,500.0	1,521.3	101.4%	101.4%	4.2%
საგარეო	2,009.9	1,838.5	1,870.0	1,739.3	93.0%	94.6%	-13.5%
ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტები	298.4	450.0	580.0	327.4	56.5%	72.8%	9.7%
საინვესტიციო კრედიტები	1,711.5	1,388.5	1,290.0	1,411.8	109.4%	101.7%	-17.5%

[7] 2024 წლის განმავლობაში ჩატარდა ფასიანი ქაღალდების 72 გამოშვების, 10 გამოსყიდვის და 3 გაცვლის (გამოშვება/დაფარვა) აუქციონი, გამოშვებულ იქნა 3,648.0 მლნ ლარის ნომინალური მოცულობის სახაზინო ფასიანი ქაღალდები. აქედან, სახაზინო ობლიგაციები, გამოშვებული 3,118.0 მლნ ლარის ოდენობით, სრულად წარმოადგენს ე.წ. „ბენჩმარკ ბონდებს“.

2016-2020 წლებში, ყოველწლიურად, ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობები ზრდის ტენდენციით ხასიათდება (აღნიშნულ პერიოდში მოცემული შემოსულობების ზრდის საშუალო მაჩვენებელი 54.1%-ს შეადგენს). 2021 წლიდან აღნიშნული მაჩვენებელი კლების ტენდენციას იძენს: 2021 წელს, წინა წელთან შედარებით, იგი 28.0%-ით შემცირებულია, 2022 წელს - 28.9%-ით, 2023 წელს - 7.0%-ით, 2024 წელს კი - 6.0%-ით, საგარეო ვალდებულებების ზრდით შემოსულობების მნიშვნელოვანი კლების გავლენით (მიუხედავად საშინაო ვალდებულებების წმინდა ზრდით შემოსულობების მატებისა).

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია საშინაო და საგარეო ვალდებულებების ზრდის მუხლებით შემოსულობების დინამიკა, 2015-2024 წლებში.

დიაგრამა 22. ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობების დინამიკა, 2015-2024 წლებში (მლნ ლარი).




წინა წელთან მიმართებით, 2024 წელს საგარეო წყაროდან, კრედიტების სახით, ბიუჯეტში მიღებულია 270.6 მლნ ლარით ნაკლები, რაც დაკავშირებულია, ერთი მხრივ, საბიუჯეტო კრედიტების 29.0 მლნ ლარით ზრდასთან და მეორე მხრივ, საინვესტიციო კრედიტების 299.6 მლნ ლარით შემცირებასთან.

შესაბამისად, შეცვლილია ვალდებულებების ზრდით შემოსულობების სტრუქტურა: 2022 წელს ვალდებულებების ზრდით შემოსულობების 36.1% საშინაო ვალდებულებების ზრდაზე მოდიოდა, 63.9% - საგარეო ვალდებულებების ზრდაზე, 2024 წელს კი, 2023 წელთან შედარებით, საშინაო ვალდებულებების ზრდის წილი 42.1%-დან 46.7%-მდე გაზრდილია, ხოლო საგარეო ვალდებულებების ზრდის წილი 57.9%-დან 53.3%-მდე შემცირებულია.

თავის მხრივ, 2024 წელს, საგარეო ვალდებულებების ზრდით შემოსულობების სტრუქტურაში, 18.8% მოდის ბიუჯეტის მხარდამჭერ კრედიტებზე, ხოლო 81.2% - საინვესტიციო კრედიტებზე (2023 წელს ანალოგიური მაჩვენებლები შეადგენდა, შესაბამისად, 14.8%-ს და 85.2%-ს).

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია საგარეო ვალდებულებების კომპონენტების დინამიკა, 2015-2024 წლებში.

დიაგრამა 23. საგარეო ვალდებულებების კომპონენტების მიხედვით, 2015-2024 წლებში (მლნ ლარი)




სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

„საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით, გადასახდელების გეგმა განისაზღვრა 25,930.4 მლნ ლარის ოდენობით. ფაქტობრივად, გადასახდელების ოდენობამ 25,946.3 მლნ ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის 100.1%-ს და საწყისი წლიური გეგმის (25,030.4 მლნ ლარი) 103.7%-ს უტოლდება, ხოლო გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 16.1%-ით (3,596.2 მლნ ლარით) აღემატება.

2016-2024 წლებში, სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები, ნომინალურ გამოხატულებაში, ყოველწლიური ზრდის ტენდენციით ხასიათდება და ზრდის ტემპის მაჩვენებელთა ცვალებადობით გამოირჩევა. მოცემულ პერიოდში, გადასახდელების საშუალო ზრდის ტემპი 11.7%-ს შეადგენს, 2022 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 1.8%-ს (ყველაზე დაბალ ნიშნულს) უტოლდება, 2023 წელს იზრდება და 10.8%-ს აღწევს, 2024 წელს კვლავ იზრდება და 16.1%-ით განისაზღვრა.

დიაგრამა 24. სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების %-ული ცვლილება წინა წელთან შედარებით, 2016-2024 წლებში (%).




ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია, 2023-2024 წლებში, სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები, კომპონენტების მიხედვით და 2024 წლის გეგმის (საწყისი, წლიური, დაბუსტებული) შესრულების მაჩვენებლები. როგორც ცხრილშია ასახული, 2024 წელს, გადასახდელების კომპონენტების ფაქტობრივი მაჩვენებლები, დაბუსტებულ გეგმასთან მიმართებით 96.3% - 102.0%-ის ფარგლებში მერყეობს, წლიურ გეგმასთან მიმართებით - 96.4%-140.2%-ის ფარგლებში, ხოლო საწყის წლიურ გეგმასთან მიმართებით - 90.6%-119.5%-ის ფარგლებში.

ცხრილი 8. სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები 2023-2024 წლებში (მლნ ლარი, %).

	2023 ფაქტი	2024 საწყისი გეგმა	2024 წლიური გეგმა	2024 დაბუსტ. გეგმა	2024 ფაქტი	დაბუსტ. გეგმის შესრულების %	წლიური გეგმის შესრულების %	საწყისი გეგმის შესრულების %
სულ გადასახდელები	22,350.2	25,030.4	25,930.4	25,930.4	25,946.3	100.1%	100.1%	103.7%
ხარჯები	16,928.6	19,120.9	19,961.8	20,082.8	20,048.5	99.8%	100.4%	104.9%
არაფინანსური აქტივების ზრდა	3,972.8	4,180.6	4,399.7	4,160.4	4,242.5	102.0%	96.4%	101.5%
ფინანსური აქტივების ზრდა	355.9	305.6	260.6	379.5	365.3	96.3%	140.2%	119.5%
ვალდებულებების კლება	1,092.9	1,423.4	1,308.4	1,307.8	1,290.0	98.6%	98.6%	90.6%

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები, 2015-2024 წლებში, შემადგენელი კომპონენტების მიხედვით:


დიაგრამა 25. სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები კომპონენტების მიხედვით, 2015-2024 წლებში (მლნ ლარი).



როგორც დიაგრამაზეა გამოსახული, ბოლო წლების განმავლობაში, სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები ზრდადი ტენდენციით ხასიათდება, მაგალითისათვის 2024 წლის მაჩვენებელი 2015 წელთან შედარებით გაზრდილია 2.7-ჯერ (16,243.2 მლნ ლარით), რაც გამოწვეულია მისი ძირითადი კომპონენტების (ხარჯები, არაფინანსური აქტივების ზრდა და ვალდებულებების კლება) ზრდით, თუმცა თუ განვიხილავთ ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტების წილობრივ მაჩვენებლებს მთლიან გადასახდელებში, ნათლად ჩანს, რომ 2015-2024 წლებში, ხარჯების წილი - კლების ტენდენციით, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელების წილი ზრდის ტენდენციით გამოირჩევა. კერძოდ, 2015 წელს, გადასახდელების 84.1%-ს ხარჯები შეადგენს, ხოლო გადასახდელების 7.0%-ს - არაფინანსური აქტივების ზრდა. აღნიშნული მაჩვენებლები, 2024 წელს, შესაბამისად 77.3%-სა და 16.4%-ს უტოლდება.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების კომპონენტების პროცენტული განაწილება, 2015-2024 წლებში:

დიაგრამა 26. სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების სტრუქტურა, 2015-2024 წლებში (%)




2024 წლის გადასახდელების მიმოხილვისას, საინტერესოა 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების დინამიკა, თვეების მიხედვით. გადასახდელების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (3,389.6 მლნ ლარი), დეკემბერში დაფიქსირდა, ხოლო ყველაზე მცირე (1,825.2 მლნ ლარი) - მარტში. დეკემბერში გადასახდელების წლიური მოცულობის 13.1%-ია ათვისებული, მაშინ როცა დანარჩენი 11 თვის ათვისების საშუალო მაჩვენებელი 7.9%-ს შეადგენს. დეკემბერში გადასახდელების მაღალი მაჩვენებელი დაკავშირებულია ხარჯების, ფინანსური და არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლებით გადასახდელების მნიშვნელოვან მატებასთან.

მარტში წლიური გადასახდელების 7.0%-ია გაწეული, გადასახდელების ორი კომპონენტის (ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდის) დაბალი ათვისების გავლენით. კერძოდ, მარტში, წლიურად გაწეული ხარჯების 7.2%-ია ათვისებული, არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელების სახით კი წლიური მოცულობის 5.1%-ია გაწეული (ფინანსური აქტივების ზრდისა და ვალდებულებების კლების მუხლებით გადასახდელების ანალოგიური მაჩვენებლები, შესაბამისად, 11.0%-ს და 10.4%-ს შეადგენს).


ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2024 წელს, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელები, თვეების მიხედვით.

დიაგრამა 27. 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები, თვეების მიხედვით (მლნ ლარი).



რაც შეეხება ნაერთი ბიუჯეტის გადასახდელების სტრუქტურას ე.წ. მიმდინარე და კაპიტალურ ხარჯებთან მიმართებაში, 2024 წელს, წინა წელთან შედარებით, ნაერთი ბიუჯეტის მიმდინარე ხარჯების მშპ-თან შეფარდების მაჩვენებელი 22.5%-მდეა გაზრდილი, ხოლო კაპიტალური ხარჯების მშპ-თან შეფარდების მაჩვენებელი 8.7%-ს გაუტოლდა.

დიაგრამა 28. ნაერთი ბიუჯეტის მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების ფარდობის მაჩვენებელი მშპ-თან, 2015-2024 წლებში (%).



ხარჯები


სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების ყველაზე დიდი წილის მქონე კომპონენტის, ხარჯების მოცულობა, 2024 წელს, 20,048.5 მლნ ლარს გაუტოლდა რაც საწყისი გეგმის (19,120.9 მლნ ლარი) 104.9%-ს, წლიური გეგმის (19,961.8 მლნ ლარი) 100.4%-ს და დაზუსტებული გეგმის (20,082.8 მლნ ლარი) 99.8%-ს შეადგენს. ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით, შემდეგი სახით არის გადანაწილებული:

ცხრილი 9. სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით, 2023-2024 წლებში (მლნ ლარი, %)

	2023 ფაქტი	2024 საწყისი გეგმა	2024 წლიური გეგმა	2024 დაზუსტ. გეგმა	2024 ფაქტი	დაზუსტ. გეგმის შესრულების %	წლიური გეგმის შესრულების %	საწყისი გეგმის შესრულების %
ხარჯები	16,928.6	19,120.9	19,961.8	20,082.8	20,048.5	99.8%	100.4%	104.9%
შრომის ანაზღაურება	2,177.2	2,577.3	2,633.0	2,590.4	2,586.0	99.8%	98.2%	100.3%
საქონელი და მომსახურება	2,139.0	2,232.0	2,232.5	2,293.6	2,301.3	100.3%	103.1%	103.1%
პროცენტი	1,182.2	1,540.0	1,480.0	1,479.3	1,472.4	99.5%	99.5%	95.6%
სუბსიდიები	943.9	1,044.9	1,146.1	1,121.9	1,165.2	103.9%	101.7%	111.5%
გრანტები	1,423.3	1,513.0	1,682.5	1,721.6	1,706.6	99.1%	101.4%	112.8%
სოციალური უზრუნველყოფა	6,805.9	7,470.4	7,720.4	7,827.8	7,787.3	99.5%	100.9%	104.2%
სხვა ხარჯები	2,257.1	2,743.2	3,067.3	3,048.3	3,029.7	99.4%	98.8%	110.4%

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია, 2015-2024 წლებში, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების დინამიკა, კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით:


დიაგრამა 29. ხარჯების დინამიკა ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით, 2015-2024 წლებში (მლნ ლარი)



2024 წელს „შრომის ანაზღაურების“ მუხლით ხარჯები 2,586.0 მლნ ლარს უტოლდება, რაც დაზუსტებული გეგმის (2,590.4 მლნ ლარი) 99.8%-ია, ხოლო საწყისი (2,577.3 მლნ ლარი) და დამტკიცებულ (2,633.0 მლნ ლარი) გეგმებთან მიმართებით შესაბამისად 100.3%-ს და 98.2%-ს შეადგენს. შრომის ანაზღაურების ხარჯები, წინა წლებთან შედარებით, მნიშვნელოვნად მომატებულია: კერძოდ, 2015-2024 წლებში, აღნიშნული ხარჯების ზრდის საშუალო მაჩვენებელი 7.4%-ს შეადგენს, 2024 წელს კი 18.8%-ს აღწევს.

2024 წელს, შრომის ანაზღაურების ხარჯების მშპ-თან ფარდობის მაჩვენებელი 2.8% შეადგენს, ხოლო ხარჯებთან და გადასახდელებთან ფარდობის მაჩვენებლები, შესაბამისად, 12.9%-ს და 10.0%-ს უტოლდება (რაც 2023 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს აღემატება).

დიაგრამა 30. სახელმწიფო ბიუჯეტის შრომის ანაზღაურების მუხლით განწესებული ხარჯების ფარდობის მაჩვენებლები მშპ-თან, სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებთან და ხარჯებთან 2015-2024 წლებში (%).



2024 წელს, საქონლისა და მომსახურების მუხლით ხარჯებმა 2,301.3 მლნ ლარი შეადგინა, რაც დაზუსტებული გეგმის (2,293.6 მლნ ლარი) 100.3%-ს, დამტკიცებული (2,232.5 მლნ ლარი) და საწყისი (2,232.0 მლნ ლარი) გეგმების 103.1%-ს უტოლდება. 2015-2024 წლებში, აღნიშნული ხარჯების ზრდის ტემპის საშუალო მაჩვენებელი 10.3%-ია, 2024 წელს კი, ზრდა, წინა წელთან შედარებით, 7.6%-ს აღწევს.

ცხრილი 10. საქონელი და მომსახურების მუხლით განწესებული ხარჯები 2023-2024 წლებში, მლნ ლარი.

	2023 ფაქტი	2024 ფაქტი	სხვაობა	%-ული ცვლილება
საქონელი და მომსახურება	2,139.0	2,301.3	162.3	7.6%
შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება	516.2	592.6	76.4	14.8%
მივლინება	70.1	69.2	-1.0	-1.4%
ოფისის ხარჯები	323.2	341.7	18.6	5.7%
წარმომადგენლობითი ხარჯები	32.1	30.8	-1.2	-3.8%
კვების ხარჯები	117.7	144.8	27.1	23.0%
სამედიცინო ხარჯები	71.9	65.7	-6.1	-8.6%
რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები	92.9	87.2	-5.8	-6.2%
ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	167.3	178.0	10.7	6.4%
სამხედრო ტექნიკისა და ტყვია-წამლის შეძენის ხარჯები	39.9	40.6	0.7	1.7%
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	707.7	750.8	43.1	6.1%

პროცენტის მუხლით ხარჯები, 2024 წელს, 1,472.4 მლნ ლარს გაუტოლდა, რაც საწყისი გეგმის (1,540.0 მლნ ლარი) 95.6%-ს, ხოლო დაზუსტებულ (1,479.3 მლნ ლარი) და დამტკიცებულ (1,480.0 მლნ ლარი) გეგმებთან მიმართებით მათ 99.5%-ს შეადგენს. აღნიშნული მუხლიდან, საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე მიიღარა 718.1 მლნ ლარი, ხოლო საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე - 754.3 მლნ ლარი.

2024 წელს სუბსიდების მუხლის ხარჯებმა 1,165.2 მლნ ლარი შეადგინა, რაც დაზუსტებული გეგმის (1,121.9 მლნ ლარი) 103.9%-ს შეადგენს. რაც შეეხება შესრულების პროცენტულ მაჩვენებელს საწყის და დამტკიცებულ გეგმებთან მიმართებით, აღნიშნული მუხლის საკასო ხარჯი საწყისი გეგმის (1,044.9 მლნ ლარი) 111.5%-ია და დამტკიცებული გეგმის (1,146.1 მლნ ლარი) 101.7%-ია.

სუბსიდიების მუხლიდან ძირითადი ხარჯი გაიწია:


- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამებზე - „ერთიანი აგროპროექტი“ (პროგრამული კოდი - 31 05) – 290.4 მლნ ლარის, „მევენახეობა-მეღვინეობის განვითარება“ (პროგრამული კოდი - 31 03) – 51.7 მლნ ლარის და „სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაცია“ (პროგრამული კოდი - 31 06) – 25.0 მლნ ლარის ოდენობით;
- საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროგრამაზე - „მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის განვითარება და პოპულარიზაცია“ (პროგრამული კოდი - 33 07) – 208.7 მლნ ლარის ოდენობით;
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პროგრამაზე „მეწარმეობის განვითარება“ (პროგრამული კოდი - 24 07) – 122.8 მლნ ლარის ოდენობით;
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს პროგრამებზე - „საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები“ (პროგრამული კოდი - 25 02) – 83.4 მლნ ლარის, „წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია“ (პროგრამული კოდი - 25 04) – 154.2 მლნ ლარის და „მყარი ნარჩენების მართვის პროგრამა“ (პროგრამული კოდი - 25 05) - 25.8 მლნ ლარის ოდენობით;
- საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროგრამებზე - „სკოლამდელი და ზოგადი განათლება“ (პროგრამული კოდი - 32 02) – 36.4 მლნ ლარის, „პროფესიული განათლება“ (პროგრამული კოდი - 32 03) – 23.5 მლნ ლარის და „მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა“ (პროგრამული კოდი - 32 05) – 27.4 მლნ ლარის ოდენობით.
- საქართველოს საპატრიარქოს პროგრამებზე (პროგრამული კოდი - 45 00) – 24.3 მლნ ლარის ოდენობით.

2024 წელს, გრანტების მუხლიდან გაწეული ხარჯი 1,706.6 მლნ ლარია, რაც დაზუსტებული გეგმის (1,721.6 მლნ ლარი) 99.1%-ს, დამტკიცებული გეგმის (1,682.5 მლნ ლარი) 101.4%-ს და საწყისი გეგმის (1,513.0 მლნ ლარი) 112.8%-ს შეადგენს. აღნიშნული ხარჯის მთლიან მოცულობაში, ძირითადი წილი მოდის „აგტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტებისათვის გადასაცემ ტრანსფერებზე“ (პროგრამული კოდი - 56 04) – 1,339.4 მლნ ლარის ოდენობით; სსიპ – საზოგადოებრივი მაუწყებელზე (პროგრამული კოდი - 42 00) – 101.2 მლნ ლარის ოდენობით; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პროგრამაზე - „მეწარმეობის განვითარება“ (პროგრამული კოდი - 24 07) – 73.8 მლნ ლარის ოდენობით; საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროგრამაზე „სკოლამდელი და ზოგადი განათლება“ (პროგრამული კოდი - 32 02) – 44.2 მლნ ლარის ოდენობით.

რაც შეეხება მიმდინარე და კაპიტალური დანიშნულების გრანტებს, 2024 წლის გრანტების მუხლით ხარჯებიდან (1,706.6 მლნ ლარი), 379.5 მლნ ლარი მიმდინარე გრანტს წარმოადგენს, ხოლო 1,327.1 მლნ ლარი - კაპიტალურ გრანტს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მიმდინარე და კაპიტალური გრანტების შესრულება 2015-2024 წლებში.

დიაგრამა 31. მიმდინარე და კაპიტალური გრანტები, 2015-2024 წლებში (მლნ ლარი).



როგორც დიაგრამაზე წარმოდგენილი, 2019-2024 წლებში, 2015-2018 წლებთან შედარებით, მკვეთრად შემცირებულია მიმდინარე გრანტების მოცულობა, რაც დაკავშირებულია 2018 წლის ბოლოს საბიუჯეტო კოდექსში განხორციელებულ ცვლილებასთან, კერძოდ, გათანაბრებითი ტრანსფერის გაუქმებასთან. რაც შეეხება კაპიტალურ გრანტებს, 2018 წლიდან აღნიშნული სახის გრანტებს ზრდადი ტენდენცია აქვს და 2015-2024 წლების პერიოდში, ყველაზე მაღალ ნიშნულს 2024 წელს აღწევს.

2024 წელს, სოციალურ უზრუნველყოფაზე გაწეულმა ხარჯებმა (რომელზეც ხარჯების მთლიანი მოცულობის მესამედზე მეტი, 38.8% მოდის) 7,787.3 მლნ ლარი შეადგინა. აღნიშნული ხარჯები, 2024 წლის საწყის (7,470.4 მლნ ლარი) და დამტკიცებულ (7,720.4 მლნ ლარი) გეგმებთან მიმართებით, შესაბამისად, 4.2%-იანი და 0.9%-იანი გადაჭარბებით გამოირჩევა, დაზუსტებული გეგმის (7,827.8 მლნ ლარი) 99.5%-ს შეადგენს, ხოლო წინა წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემს 981.4 მლნ ლარით (14.4%-ით) აღემატება.


სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები, ძირითადად, გადანაწილებულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შემდეგი ქვეპროგრამების ფარგლებში:

- „მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი - 27 02 01)“ – 3,947.8 მლნ ლარი;
- „მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარება (პროგრამული კოდი - 27 02 02)“ – 1,508.5 მლნ ლარი;
- „მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი - 27 03 01)“ – 1,324.6 მლნ ლარი;
- „მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მიწოდება პრიორიტეტულ სფეროებში (პროგრამული კოდი - 27 03 03)“ – 243.4 მლნ ლარი.

გარდა ამისა, დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსებაზე (პროგრამული კოდი 56 11) მიიმართა 390.0 მლნ ლარი.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სოციალურ უზრუნველყოფაზე გაწეული ხარჯები და მისი წილობრივი მაჩვენებლები სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებსა და ხარჯებში, 2015-2024 წლებში.

დიაგრამა 32. 2015-2024 წლებში, სოციალური უზრუნველყოფის მუხლით გაწეული ხარჯები და მისი წილობრივი მაჩვენებლები ხარჯებსა და გადასახდელებში (მლნ ლარი, %)



როგორც დიაგრამაზე წარმოდგენილი „სოციალური უზრუნველყოფის“ ხარჯები, 2015-2024 წლებში, ყოველწლიურად, ზრდადი ტენდენციით ხასიათდება და მაქსიმუმს 2024 წლისთვის აღწევს (2015 წელთან შედარებით, 2.8-ჯერ არის გაზრდილი). აღნიშნული ხარჯების ზრდის საშუალო მაჩვენებელი, 2015-2024 წლებში, 12.2%-ს შეადგენს, 2024 წელს კი - 14.4%-ს. რაც შეეხება სოციალური უზრუნველყოფის ხარჯების წილს გადასახდელებსა და ხარჯებში, მოცემული ხარჯების წილი მთლიან ხარჯებში მაქსიმუმს (42.8%) 2021 წელს აღწევს, 2024 წელს კი 38.8%-მდე მცირდება. სოციალური უზრუნველყოფის ხარჯების წილობრივი მაჩვენებელი გადასახდელებში, 2024 წელს 30.0%-ს შეადგენს (2015-2024 წლებში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2020 წელს დაფიქსირდა, 33.0%-ის ოდენობით).


2024 წლის სხვა ხარჯების მუხლიდან 3,029.7 მლნ ლარია გაწეული, რაც დამტკიცებული გეგმის (3,067.3 მლნ ლარი) 98.8%-ს შეადგენს, ხოლო დაზუსტებული გეგმის (3,048.3 მლნ ლარი) 99.4%-ს უტოლდება და საწყისი გეგმის (2,743.2 მლნ ლარი) მაჩვენებელს 10.4%-ით აჭარბებს. წინა წელთან შედარებით, აღნიშნული ხარჯები 772.6 მლნ ლარით გაზრდილია, რაც გამოწვეულია როგორც კაპიტალური, ისე მიმდინარე ტრანსფერების ზრდით.

2024 წელს, სხვა ხარჯების მუხლიდან თანხები, ძირითადად, შემდეგი ტიპის ხარჯების დასაფინანსებლად მიიღარა:

- მოსწავლეთა ვაუჩერების ხარჯი – 1,380.7 მლნ ლარი;
- კაპიტალური ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული – 1,053.4 მლნ ლარი;
- სახელმწიფო სასწავლო გრანტების ხარჯი – 97.5 მლნ ლარი.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია, 2015-2024 წლებში, სხვა ხარჯების მუხლით გაწეული მიმდინარე და კაპიტალური ტრანსფერების შესახებ ინფორმაცია.


დიაგრამა 33. ეკონომიკური კლასიფიკაციის „სხვა ხარჯების“ მუხლის შესრულება 2015-2024 წლებში (მლნ ლარი).



რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებს თვეების მიხედვით, 2024 წელს, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყველაზე დიდი ოდენობის ხარჯები (2,470.0 მლნ ლარი) დეკემბერში გაიწია, ხოლო ყველაზე მცირე ოდენობით - აგვისტოში (1,425.8 მლნ ლარი), ხარჯების ყოველთვიური საშუალო მაჩვენებელი კი 1,670.7 მლნ ლარს შეადგენს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები 2024 წელს, თვეების მიხედვით.

დიაგრამა 34. სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები 2024 წელს თვეების მიხედვით (მლნ ლარი)



არაფინანსური აქტივების ზრდა


არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით, 2024 წელს, 4,242.5 მლნ ლარია გაწეული, რაც წლიური გეგმის (4,399.7 მლნ ლარი) 96.4%-ს შეადგენს, ხოლო როგორც დაზუსტებულ (4,160.4 მლნ ლარი), ისე, საწყის (4,180.6 მლნ ლარი) გეგმებს, შესაბამისად, 2.0%-ით და 1.5%-ით აჭარბებს. 2023 წელთან შედარებით, აღნიშნული გადასახდელები 269.7 მლნ ლარით (6.8%-ით) გაზრდილია.

არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელები, ძირითადად, გადანაწილებულია შემდეგი მიმართულებით:

- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს პროგრამებზე:
 - „საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები (პროგრამული კოდი - 25 02)“ - 1,873.2 მლნ ლარი;
 - „ზოგადსაგანმანათლებლო და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაცია“ (პროგრამული კოდი - 25 07)“ – 302.3 მლნ ლარი;
 - „რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი - 25 03)“ – 298.2 მლნ ლარი;
 - „ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები (პროგრამული კოდი - 25 08)“ – 209.4 მლნ ლარი;
- საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროგრამაზე „ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი - 32 07)“ – 371.4 მლნ ლარი;
- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პროგრამებზე:
 - „ინფრასტრუქტურის განვითარება“ (პროგრამული კოდი - 29 05)“ – 162.8 მლნ ლარი;
 - „თავდაცვის შესაძლებლობების განვითარება“ (პროგრამული კოდი - 29 07)“ – 207.9 მლნ ლარი;
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროგრამაზე - „იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობა“ (პროგრამული კოდი - 27 06)“ – 133.4 მლნ ლარი.
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პროგრამაზე - „საზოგადოებრივი წესრიგი და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება/გაღრმავება (პროგრამული კოდი - 30 01)“ – 98.4 მლნ ლარი;


რაც შეეხება არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელების კომპონენტებს, მნიშვნელოვანი, 99.2%-ანი წილით გამოირჩევა ძირითადი აქტივების ზრდა, რომლის მიმართულებით, 2024 წელს, 4,208.2 მლნ ლარია გაწეული, არაწარმოებულ აქტივებზე 31.9 მლნ ლარი მიიმართა, მატერიალურ მარაგებზე - 2.2 მლნ ლარი, ხოლო ფასეულობებზე - 0.3 მლნ ლარი.

დიაგრამა 35. არაფინანსური აქტივების ზრდის შესრულება კომპონენტების მიხედვით, 2015-2024 წლებში (მლნ ლარი)



რაც შეეხება არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელების მიმოხილვას 2024 წლის თვეების მიხედვით, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დეკემბერში დაფიქსირდა, 662.4 მლნ ლარის ოდენობით, რაც წლიური მოცულობის 15.6%-ია, ხოლო დანარჩენი 11 თვის გადასახდელების საშუალო წილი მთლიან მოცულობაში 7.7%-ს შეადგენს.

დიაგრამა 36. არაფინანსური აქტივების ზრდის შესრულება 2024 წლის თვეების მიხედვით (მლნ ლარი)




ფინანსური აქტივების ზრდა

2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული ფინანსური აქტივების ზრდის საწყისი გეგმა 305.6 მლნ ლარით განისაზღვრა, ხოლო დეკემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში განხორციელებული ცვლილებებით - 260.6 მლნ ლარის ოდენობით, წლის ბოლოსთვის კი დაზუსტებულმა გეგმამ 379.5 მლნ ლარი შეადგინა. ფაქტობრივად, აღნიშნული გადასახდელები 365.3 მლნ ლარს გაუტოლდა, რაც საწყისი გეგმის 119.5%-ს, დამტკიცებული გეგმის 140.2%-ს და დაზუსტებული გეგმის 96.3%-ს შეადგენს.

აღნიშნული გადასახდელები გადანაწილებულია:

- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პროგრამებზე:
 - „სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარება (პროგრამული კოდი 24 14)“ - 82.1 მლნ ლარის ოდენობით;
 - „ვარდნილისა და ენგურის ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის პროექტი (EBRD, EIB, EU) (პროგრამული კოდი 24 19)“ – 1.2 მლნ ლარის ოდენობით;
 - „საქართველოში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება (პროგრამული კოდი 24 08)“ – 3.3 მლნ ლარის ოდენობით.
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს პროგრამებზე:
 - „წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 25 04)“ - 105.5 მლნ ლარის ოდენობით;
 - „მყარი ნარჩენების მართვის პროგრამა (პროგრამული კოდი - 25 05)“ – 12.2 მლნ ლარი.
- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პროგრამაზე:
 - „თავდაცვის შესაძლებლობების განვითარება“ (პროგრამული კოდი - 29 07) – 110.0 მლნ ლარი.
- საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების ფარგლებში გაცემულ სესხებზე - 51.0 მლნ ლარის ოდენობით;

დიაგრამა 37. ფინანსური აქტივების ზრდის შესრულება კომპონენტების მიხედვით 2015-2024 წლებში (მლნ ლარი)



ვალდებულებების კლება

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების მეოთხე კომპონენტს, ვალდებულებების კლებას, აღნიშნულმა გადასახდელებმა, 2024 წელს, 1,290.0 მლნ ლარი შეადგინა, რაც დამტკიცებული (1,308.4 მლნ ლარი) და დაბუსტებული (1,307.8 მლნ ლარი) გეგმების 98.6%-ია, ხოლო საწყის გეგმასთან (1,423.4 მლნ ლარი) მიმართებით 90.6%-ს უტოლდება. საგარეო ვალდებულებების დაფარვაზე 1,244.7 მლნ ლარი მიიმართა, ხოლო, საშინაო ვალდებულებების დაფარვაზე - 45.3 მლნ ლარი (დეტალურად იხილეთ „საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები“). 2023 წელთან შედარებით, ვალდებულებების კლების მუხლით გადასახდელები 197.1 მლნ ლარით (18.0%-ით) გაზრდილია.


ცხრილი 11. ვალდებულებების კლების მუხლით გადასახდელები 2024 წელს (მლნ ლარი, %)

	2024 წლის ფაქტი	საწყისი გეგმის შესრულების %	წლიური გეგმის შესრულების %	დაბუსტ. გეგმის შესრულების %
ვალდებულებების კლება	1,290.0	90.6%	98.6%	98.6%
საშინაო	45.3	106.0%	106.0%	100.0%
საგარეო	1,244.7	90.2%	98.3%	98.6%

გადასახდელები ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით

საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები, ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით, განსაზღვრული იყო 24,361.5 მლნ ლარით (საწყისი გეგმა 23,301.5 მლნ ლარს, ხოლო დაბუსტებული გეგმა 24,243.2 მლნ ლარს შეადგენდა), 2024 წლის ფაქტობრივმა შესრულებამ კი 24,291.1 მლნ ლარი შეადგინა.

დიაგრამა 38. 2024 წლის ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაცია (მლნ ლარი).




ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით, 2024 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ასიგნებები მიიმართა შემდეგ 4 ძირითად მიმართულებაზე: სოციალური დაცვა, ეკონომიკური საქმიანობა, განათლება და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება. აღსანიშნავია, რომ 2016-2019 წლებში ზემოაღნიშნული მიმართულებები წარმოადგენდნენ ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით 4 ძირითად მიმართულებას (ასიგნებების მოცულობის მიხედვით), ხოლო 2020-2022 წლებში - 4 ყველაზე მსხვილ მიმართულებაში შედიოდა ჯანმრთელობის დაცვა, ნაცვლად განათლებისა. განათლების მიმართულება, 2020-2022 წლებში, მე-5 პოზიციას იკავებდა მიმართულებებს შორის სიდიდის მიხედვით.

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების მიმართულება, 2015-2019 წლებში, კლების ტენდენციით ხასიათდებოდა და 2019 წელს ყველაზე მცირე მაჩვენებელი შეადგინა. თუმცა, 2020 წლიდან, გაიზარდა აღნიშნული მიმართულების დაფინანსება და 2024 წელს 3,655.1 მლნ ლარის ოდენობით განისაზღვრა.


ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია, 2015-2024 წლებში, სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები, ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით და მისი შეფარდება მშპ-თან:

დიაგრამა 39. ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივების ოპერაციებზე ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით გადასახდელები და მისი შეფარდება მშპ-თან 2015-2024 წლებში (მლნ ლარი, %)



როგორც დიაგრამაზეა წარმოდგენილი, 2015-2024 წლებში, ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის 4 ძირითადი მიმართულებიდან (ასიგნებების მოცულობის მიხედვით), ეკონომიკური საქმიანობის, განათლებისა და სოციალური დაცვის მიმართულებები, ზრდის ტენდენციით ხასიათდება (2024 წელს, 2023 წელთან შედარებით, სოციალური დაცვის მიმართულების დაფინანსება გაზრდილია 678 მლნ ლარით, განათლების მიმართულების დაფინანსება - 601 მლნ ლარით, ხოლო ეკონომიკური საქმიანობის დაფინანსება 244 მლნ ლარით არის გაზრდილი). ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2015-2024 წლებში აღნიშნულ მიმართულებებზე განხული ასიგნებები და მათი შეფარდება მშპ-თან:

დიაგრამა 40. სოციალური დაცვა, ეკონომიკური საქმიანობა და განათლება, 2015-2024 წლებში (მლნ ლარი, %)




სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტები

2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით, განსაზღვრული იყო 12 პრიორიტეტი. აღნიშნულ პრიორიტეტებზე, ჯამურად, 21,360.0 მლნ ლარი მიიხარტა, რაც საწყისი გეგმის (20,239.3 მლნ ლარი) 105.5%-ს, დამტკიცებული გეგმის (21,170.3 მლნ ლარი) 100.9%-ს და დაბუსტებული გეგმის (21,228.7 მლნ ლარი) 100.6%-ს შეადგენს, 2023 წლის მაჩვენებელს კი 2,821.5 მლნ ლარით (15.2%-ით) აღემატება.

2024 წელს, სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტებზე მიმართული ჯამური ასიგნების მნიშვნელოვანი წილი, 85.8%-ის ოდენობით, 4 პრიორიტეტზე მოდის, ესენია:


- ხელმისაწვდომი ხარისხიანი ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (7,868.2 მლნ ლარი);
- თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (3,624.8 მლნ ლარი);
- რეგიონალური განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი (3,908.0 მლნ ლარი);
- განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადება (2,927.3 მლნ ლარი).

დიაგრამა 41. სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტები 2024 წელს (მლნ ლარი)



ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია, 2015-2024 წლებში, სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტებზე მიმართული სახსრები.

დიაგრამა 42. სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტები 2015-2024 წლებში (მლნ ლარი).



სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული მხარჯავი დაწესებულებებისა და პროგრამების დაფინანსების მიმოხილვა

მხარჯავი დაწესებულებები

„საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით, საწყისი გეგმით, განსაზღვრული იყო 55 მხარჯავი დაწესებულება, რომელთაგან 18-ის ფარგლებში, ჯამურად, 133 პროგრამა იყო განსაზღვრული, ხოლო 37 მხარჯავი დაწესებულებისთვის პროგრამები გათვალისწინებული არ იყო.

2024 წლის დეკემბერში, „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილების მიხედვით, მხარჯავი დაწესებულებების რიცხოვნობა არ შეცვლილა. რაც შეეხება დაფინანსებას, აღნიშნული ცვლილებით განსაზღვრული მხარჯავი დაწესებულებების დაფინანსების მოცულობამ (21,170.3 მლნ ლარი) 936.0 მლნ ლარით გადააჭარბა საწყისი წლიური გეგმით განსაზღვრულ მაჩვენებელს (20,234.3 მლნ ლარს). კერძოდ, დაფინანსება 10 მხარჯავი დაწესებულებისათვის გაზრდილია, 1 მხარჯავი დაწესებულებისთვის - შემცირებული, ხოლო 44 მხარჯავი დაწესებულებისათვის - უცვლელი დარჩა.

ცხრილი 12. მხარჯავი დაწესებულებები, რომელთა წლიური გეგმით გათვალისწინებული დაფინანსება შეიცვალა საწყისი გეგმით განსაზღვრულ მაჩვენებლებთან შედარებით (მლნ ლარი, %).

კოდი	დასახელება	2024 საწყისი გეგმა	2024 წლიური გეგმა	სხვაობა	%-ული ცვლილება
მხარჯავი დაწესებულებები რომელთა დაფინანსებაც გაიზარდა					
25 00	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	3,400.7	3,747.7	347.0	10.2%
27 00	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	7,829.2	8,069.2	240.0	3.1%
29 00	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	1,380.0	1,590.0	210.0	15.2%
31 00	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	688.0	738.0	50.0	7.3%
სხვა დანარჩენი (6 მხარჯავი დაწესებულება)		5,052.2	5,159.9	107.7	2.1%
მხარჯავი დაწესებულება რომლის დაფინანსებაც შემცირდა					
24 00	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	801.0	782.3	-18.7	-2.3%
სულ				936.0	

2024 წლის განმავლობაში, საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებული შესაბამისი საბიუჯეტო ცვლილებების განხორციელების შედეგად, მხარჯავი დაწესებულებების დაფინანსება, წლიური გეგმით დამტკიცებულ ასიგნებებთან მიმართებაში, ჯამურად 58.4 მლნ ლარით გაიზარდა და დაზუსტებულმა გეგმამ 21,228.7 მლნ ლარი შეადგინა (საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების იმავე ოდენობით შემცირების ხარჯზე). აღნიშნული მატება ძირითადად მოდის: საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაზე - 28.9 მლნ ლარის ოდენობით, საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროზე - 16.2 მლნ ლარის ოდენობით და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიაზე - 13.3 მლნ ლარის ოდენობით.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული 55 მხარჯავი დაწესებულებიდან, 41 მხარჯავი დაწესებულების ბიუჯეტის მთლიანი გადასახდელების დაზუსტება არ მომხდარა, 13 მხარჯავი დაწესებულების დაფინანსება გაიზარდა, ხოლო 1 მხარჯავი დაწესებულების დაფინანსება შემცირდა (დეტალურად იხილეთ დანართი №4).

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია აღნიშნული 14 მხარტავი დაწესებულების დაზუსტებული ბიუჯეტების მარჯვენებელთა პროცენტული ცვლილება დამტკიცებული ბიუჯეტის მარჯვენებელთან მიმართებით.


დიაგრამა 43. მხარტავი დაწესებულებების რაოდენობა, დაზუსტებული ბიუჯეტების მარჯვენებლების პროცენტული ცვლილების დიაპაზონის მიხედვით (ერთეული).



2024 წლის ბოლოს, მხარტავი დაწესებულებების ბიუჯეტების ჯამურმა შესრულებამ 21,360.0 მლნ ლარი შეადგინა, რაც საწყისი გეგმის 105.6%-ს, დამტკიცებული გეგმის 100.9%-ს და დაზუსტებული გეგმის 100.6%-ს წარმოადგენს. ამასთან, ზემოაღნიშნული 55 მხარტავი დაწესებულების გარდა, 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშში აისახა 3 მხარტავი დაწესებულების (სსიპ – ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი, ა(ა)იპ - ათასწლეულის ფონდი და ა(ა)იპ - მშვიდობის ფონდი უკეთესი მომავლისთვის) ფაქტობრივად განეული გადასახდელები (ჯამურად, 2.0 მლნ ლარის ოდენობით), რომლის დაფინანსების წყაროს მიზნობრივი გრანტი^[8] წარმოადგენს. შესაბამისად, 2024 წლის ბიუჯეტის წლიურ ანგარიშში 58 მხარტავი დაწესებულებაა წარმოდგენილი.

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული 55 მხარტავი დაწესებულების 2024 წლის ბიუჯეტის გეგმის შესრულებას, დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებით, 2 მხარტავი დაწესებულება 100%-იანი შესრულებით გამოირჩევა, 53 მხარტავი დაწესებულებიდან 11 მათგანი გადაჭარბებით, ხოლო 42 დაწესებულება - ჩამორჩენით ხასიათდება. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მხარტავი დაწესებულებების რაოდენობა, მათი ფაქტობრივი შესრულების მარჯვენებლების დაზუსტებული გეგმის მარჯვენებლებიდან პროცენტული გადახრის დიაპაზონის მიხედვით.

დიაგრამა 44. მხარტავი დაწესებულებების რაოდენობა, მათი ფაქტობრივი მარჯვენებლების დაზუსტებული გეგმის მარჯვენებლებიდან პროცენტული გადახრის დიაპაზონის მიხედვით (ერთეული).



როგორც დიაგრამაზეა წარმოდგენილი, უმეტეს შემთხვევაში დაზუსტებული გეგმის შესრულების მარჯვენებლები მნიშვნელოვანი გადახრებით არ გამოირჩევა. კერძოდ, 46 მხარტავი დაწესებულების შემთხვევაში, აღნიშნული გადახრები 0%-დან 15%-მდე მერყეობს.

[8] მიზნობრივი გრანტის გეგმა არ აისახება დამტკიცებულ და დაზუსტებულ წლიურ გეგმებში.

რაც შეეხება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნებს^[9], მხარჯავი დაწესებულებების, როგორც პროგრამის შემთხვევაში, დამტკიცებულ და დაბუსტებულ მარგენებლებს შორის კანონით გათვალისწინებულ 30%-იანი სხვაობა მხოლოდ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის (პროგრამული კოდი 04 00) შემთხვევაში გამოვლინდა, როცა აღნიშნული პროგრამული კოდის დამტკიცებული ასიგნება (27.0 მლნ ლარი) 28.9 მლნ ლარით (106.9%-ით) გაიზარდა და 55.9 მლნ ლარი შეადგინა. რაც შეეხება 15%-იან სხვაობას დაბუსტებულ გეგმასა და საკასო შესრულებებს შორის, აღნიშნული გადახრა 7 მხარჯავი დაწესებულების, როგორც პროგრამის, შემთხვევაში დაფიქსირდა.

ცხრილი 13. მხარჯავი დაწესებულებები, როგორც პროგრამები, რომელთა შემთხვევაში დაბუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის სხვაობა 15%-ს აღემატება (მლნ ლარი, %).

კოდი	დასახელება	2024 დაბუსტ. გეგმა	2024 ფაქტი	სხვაობა	%-ული გადახრა
49 00	საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა	2.2	3.3	1.1	50.2%
10 00	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო	10.6	6.3	-4.2	-40.1%
55 00	სსიპ – ანტიკორუფციული ბიურო	8.5	5.1	-3.4	-39.5%
53 00	სსიპ – საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტო	0.6	0.4	-0.2	-39.4%
38 00	სსიპ – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური	4.0	2.8	-1.2	-29.7%
54 00	ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატი	4.8	3.9	-0.9	-19.0%
15 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში	1.1	1.0	-0.2	-15.1%

სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამები

„საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის საწყისი წლიური გეგმის მიხედვით განსაზღვრული იყო 133 პროგრამა^[10]. 2024 წლის ბიუჯეტის ცვლილების მიხედვით, პროგრამების რიცხოვნობა არ შეცვლილა. შესაბამისად, 2024 წლის დამტკიცებული გეგმით, 55 მხარჯავი დაწესებულებიდან 18-ის ფარგლებში, ჯამურად 133 პროგრამა განისაზღვრა, ხოლო 37 მხარჯავი დაწესებულებისთვის პროგრამები გათვალისწინებული არ არის.

2024 წლის საწყისი გეგმით, 133 პროგრამისთვის ასიგნება 19,811.4 მლნ ლარით განისაზღვრა, ხოლო წლიური გეგმით პროგრამების ასიგნებამ 20,747.4 მლნ ლარი (936.0 მლნ ლარით მეტი) შეადგინა. კერძოდ, საწყისი გეგმით განსაზღვრული 133 პროგრამიდან 26 პროგრამის შემთხვევაში, დაფინანსება გაზრდილია, 14 პროგრამის შემთხვევაში - შემცირებულია, ხოლო 93 პროგრამისთვის, დაფინანსების მოცულობა უცვლელია.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ის პროგრამები, რომელთა დაფინანსებაც განსხვავდება თავდაპირველად (2023 წლის დეკემბერში) და საბოლოოდ (2024 წლის დეკემბერში) დამტკიცებული წლიური გეგმების მიხედვით.

[9] საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 56 „სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში“:

1. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში მოიცავს წლიური ბიუჯეტის შესრულების შესახებ არანაკლებ შემდეგ ინფორმაციას: ე) მხარჯავი დაწესებულებების პროგრამების მიხედვით დამტკიცებულ და დაბუსტებულ ასიგნებებს შორის შეუსაბამობის განმარტებას, თუ ასეთი შეუსაბამობა აღემატება 30%-ს; ვ) მხარჯავი დაწესებულებების პროგრამების მიხედვით დაბუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობის განმარტებას, თუ ასეთი შეუსაბამობა აღემატება 15%-ს;

[10] აქ იგულისხმება მხოლოდ ის პროგრამები, რომლებიც წარმოადგენენ მხარჯავი დაწესებულების ფარგლებში განსაზღვრულ პროგრამებს. ხოლო იმ პროგრამებზე, რომლებიც ასევე წარმოადგენენ მხარჯავ დაწესებულებებს, მათზე ინფორმაცია მხარჯავი დაწესებულებების ქვეთავშია განხილული.

ცხრილი 14. პროგრამები, რომელთა წლიური გეგმით გათვალისწინებული დაფინანსება განსხვავდება საწყისი გეგმით განსაზღვრული მაჩვენებლებისგან (მლნ ლარი, %).


კოდი	დასახელება	2024 საწყისი გეგმა	2024 წლიური გეგმა	სხვაობა	%-ული ცვლილება
პროგრამები რომელთა დაფინანსებაც გაიზარდა					
25 04	წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია	550.0	825.0	275.0	50.0%
27 03	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა	1,621.5	1,816.5	195.0	12.0%
29 07	თავდაცვის შესაძლებლობების განვითარება	230.0	369.0	139.0	60.4%
25 02	საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები	1,933.6	2,017.6	84.0	4.3%
32 02	სკოლამდელი და ზოგადი განათლება	1,575.0	1,640.0	65.0	4.1%
27 02	მოსახლეობის სოციალური დაცვა	5,635.6	5,690.6	55.0	1.0%
24 15	მოსახლეობის ელექტროენერჯითა და ბუნებრივი აირით მომარაგების გაუმჯობესება	3.6	53.6	50.0	1408.5%
	სხვა დანარჩენი (19 პროგრამა)	4,108.9	4,374.8	266.0	6.5%
პროგრამები რომელთა დაფინანსებაც შემცირდა					
25 07	ზოგადსაგანმანათლებლო და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაცია	361.3	302.2	-59.2	-16.4%
24 07	მეწარმეობის განვითარება	304.9	245.9	-59.0	-19.4%
32 10	პროფესიული განათლების პროგრამა 1 (KfW)	22.4	4.4	-18.0	-80.4%
25 05	მყარი ნარჩენების მართვის პროგრამა	65.0	53.0	-12.0	-18.5%
27 04	სამინისტროს სისტემაში შემავალ სამედიცინო და სხვა დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა	87.5	77.5	-10.0	-11.4%
	სხვა დანარჩენი (9 პროგრამა)	304.5	269.7	-34.8	-11.4%
სულ				936.0	

2024 წლის განმავლობაში, საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებული შესაბამისი საბიუჯეტო ცვლილებების განხორციელების შედეგად, პროგრამების დაფინანსება ჯამურად 27.8 მლნ ლარით გაიზარდა და დაზუსტებულმა გეგმამ 20,775.2 მლნ ლარი შეადგინა. გეგმის დაზუსტებით ასიგნებების გადანაწილება ახალ პროგრამებზე, ან არსებული პროგრამებისთვის ასიგნებების სრულად გაუქმება არ მომხდარა, შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმა ისევ 133 პროგრამას მოიცავს.

დამტკიცებული ბიუჯეტით განსაზღვრული 133 პროგრამიდან, 33 პროგრამისათვის, წლის განმავლობაში საბიუჯეტო კოდექსით განხორციელებული საბიუჯეტო ცვლილებების შედეგად, წლიური გეგმით გათვალისწინებული დაფინანსების მოცულობა არ შეცვლილა, 53 პროგრამას დაფინანსება გაეზარდა, ხოლო 47 პროგრამას - შემცირდა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია იმ პროგრამების რაოდენობა, რომელთაც 2024 წლის განმავლობაში, წლიურ გეგმასთან მიმართებით დაფინანსება გაეზარდა.


დიაგრამა 45. პროგრამების რაოდენობა, მათ წლიურ გეგმასთან შედარებით, დაზუსტებული გეგმის პროცენტული ცვლილების (ზრდის) დიაპაზონის მიხედვით (ერთეული).



როგორც დიაგრამაზეა წარმოდგენილი, უმეტეს შემთხვევაში, პროგრამების დაფინანსების მკვეთრმა ტემპმა ადგილი არ ჰქონია, მხოლოდ 1 პროგრამის შემთხვევაში დაფინანსების ზრდა 100%-ს აღწერბებს.

რაც შეეხება პროგრამების დაფინანსების შემცირებას, ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია იმ პროგრამების რაოდენობა, რომელთაც 2024 წლის განმავლობაში, წლიურ გეგმასთან მიმართებით დაფინანსება შეუმცირდათ.

დიაგრამა 46. პროგრამების რაოდენობა, მათ წლიურ გეგმასთან შედარებით, დაზუსტებული გეგმის პროცენტული ცვლილების (კლების) დიაპაზონის მიხედვით (ერთეული).



მსგავსად მატებებისა, პროგრამების დაფინანსების მკვეთრ შემცირებასაც, უმეტეს შემთხვევაში, ადგილი არ ჰქონია, მხოლოდ 1 პროგრამის შემთხვევაში, კლების პროცენტული მაჩვენებელი 40-50%-ის ფარგლებში მერყეობს.

რაც შეეხება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნებს^[11] დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის სხვაობის თაობაზე, აღნიშნული შეუსაბამობა 30%-ს აღემატება 9 პროგრამის შემთხვევაში (7 - ზრდის მიმართულებით და 2 - კლების მიმართულებით).

[11] საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 56 „სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში“:


1. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში მოიცავს წლიური ბიუჯეტის შესრულების შესახებ არანაკლებ შემდეგ ინფორმაციას: ე) მხარტავი დაწესებულებების პროგრამების მიხედვით დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის შეუსაბამობის განმარტებას, თუ ასეთი შეუსაბამობა აღემატება 30%-ს;

ცხრილი 15. პროგრამები, რომელთა 2024 წლის დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის სხვაობა (შეუსაბამობა) 30%-ს აღემატება (მლნ ლარი, %).

კოდი	დასახელება	2024 წლიური გეგმა	2024 დაზუსტ. გეგმა	სხვაობა	%-ული ცვლილება
40 03	სსიპ – სახელისუფლებო სპეციალური კავშირგაბმულობის სააგენტოს ხელშეწყობა	0.6	1.6	1.0	181.8%
23 05	საფინანსო სექტორში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლება	1.3	2.1	0.8	64.6%
24 12	საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა – სივრცითი და ქალაქთშენებლობითი განვითარების სააგენტოს კომპონენტი (ADB)	0.5	0.8	0.3	60.0%
30 05	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემისა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებით უზრუნველყოფა	4.6	6.3	1.7	37.6%
29 05	ინფრასტრუქტურის განვითარება	120.0	164.5	44.5	37.1%
23 01	სახელმწიფო ფინანსების მართვა	31.3	41.5	10.2	32.6%
24 10	ტრანსპორტის სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების დაფარვა და ტრანსპორტირების ხარჯების სუბსიდირება	13.3	17.4	4.1	30.8%
32 11	თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარების პროგრამისთვის – პროექტი (ADB)	5.5	2.8	-2.7	-48.5%
27 04	სამინისტროს სისტემაში შემავალ სამედიცინო და სხვა დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა	77.5	53.7	-23.8	-30.7%

2024 წლის ბოლოს, ფაქტობრივად, პროგრამების დაფინანსებამ, ჯამურად, 20,926.3 მლნ ლარი შეადგინა, რაც საწყისი წლიური გეგმის 105.6%-ს, წლიური გეგმის 100.9%-ს და დაზუსტებული გეგმის 100.7%-ს შეადგენს. დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებით, 133 პროგრამიდან, 18 პროგრამის დაფინანსებამ 100% შეადგინა, 37 პროგრამა გადაჭარბებით დაფინანსდა, ხოლო 78 პროგრამის შემთხვევაში, ადგილი ჰქონდა ჩამორჩენას. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული 133 პროგრამის გარდა, ფაქტობრივად, დამატებით 2 პროგრამა დაფინანსდა - „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა“ (პროგრამული კოდი - 26 11) – 0.4 მლნ ლარის ოდენობით და „საზღვაო ტრანსპორტის რეგულირება, მართვა და განვითარება“ (პროგრამული კოდი 24 28) – 0.1 მლნ ლარის ოდენობით, რომელთა დაფინანსების წყაროს მიზნობრივი გრანტი წარმოადგენს. შესაბამისად, 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშში 135 პროგრამაა ასახული.


ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია იმ პროგრამების რაოდენობა (ჯამურად 37 პროგრამა), რომელთა დაფინანსებაც აჭარბებს დაზუსტებული გეგმის მაჩვენებლებს.



როგორც დიაგრამაზეა წარმოდგენილი, დაზუსტებულ გეგმებთან მიმართებით, უმეტეს შემთხვევაში, გარდა რამდენიმე შემთხვევისა, მკვეთრ გადაჭარბებას ადგილი არ აქვს.

რაც შეეხება დაზუსტებული გეგმის მიმართ შესრულების ჩამორჩენას, ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია იმ პროგრამების რაოდენობა (ჯამურად 78 პროგრამა), რომელთა ფაქტობრივი დაფინანსების მაჩვენებელი ჩამორჩება დაზუსტებული გეგმის მაჩვენებლებს.

დიაგრამა 48. პროგრამების რაოდენობა, მათი ფაქტობრივი დაფინანსების მაჩვენებლების, დაზუსტებულ გეგმასთან შედარებით, პროცენტული ცვლილების (ჩამორჩენა) დიაპაზონის მიხედვით (ერთეული).



წინა შემთხვევების (პროგრამების ფაქტობრივი დაფინანსების დაზუსტებულ გეგმებთან მიმართებით გადაჭარბების) მსგავსად, უმეტეს შემთხვევაში, დაზუსტებულ გეგმებთან მიმართებით, მკვეთრ გადახრებს (ჩამორჩენას) ადგილი არ აქვს, თუმცა ამ შემთხვევაშიც არის რამდენიმე გამონაკლისი.

რაც შეეხება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნებს^[12] დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის სხვაობის თაობაზე, აღნიშნული შეუსაბამობა 15%-ს აღემატება 15 პროგრამის შემთხვევაში (2 ახალი პროგრამის შემთხვევაში, რომელიც დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული არ არის, 6 პროგრამის შემთხვევაში - გადაჭარბების და 7 პროგრამის შემთხვევაში - ჩამორჩენის მიმართულებით).

ცხრილი 16. 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამები, რომელთა შემთხვევაშიც დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის სხვაობა აღემატება 15%-ს (მლნ ლარი, %).

კოდი	დასახელება	2024 დაზუსტ. გეგმა	2024 ფაქტი	სხვაობა	%-ული გადახრა
32 10	პროფესიული განათლების პროგრამა 1 (KfW)	5.6	21.3	15.7	282.8%
31 11	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მიმართულებით ინფორმაციის ხელმისაწვდომობის და „განათლება მდგრადი განვითარებისთვის“ ხელშეწყობის პროგრამა	1.8	4.0	2.2	121.2%
24 13	ტექნიკური დახმარების პროექტი საქართველოს ენერჯეტიკის სექტორის რეფორმის პროგრამის (GESRP) მხარდასაჭერად (EU-NIF)	3.0	4.1	1.1	38.2%
31 14	კვების პროდუქტების, ცხოველთა და მცენარეთა დაავადებების დიაგნოსტიკა	8.4	10.5	2.2	26.2%
31 01	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა	20.6	25.2	4.5	22.0%
31 13	გარემოს დაცვის სფეროში პროგნოზირება, შეფასება, პრევენცია და მონიტორინგი	21.7	25.8	4.2	19.2%
24 28	საზღვაო ტრანსპორტის რეგულირება, მართვა და განვითარება	-	0.1	0.1	
26 11	სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა	-	0.4	0.4	
24 12	საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა – სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს კომპონენტი (ADB)	0.8	0.3	-0.5	-58.6%
24 19	ვარდნილისა და ენგურის ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის პროექტი (EU, EBRD, EIB)	5.0	2.1	-2.9	-57.9%
24 20	სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარება	8.0	5.9	-2.1	-26.6%
09 02	მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების მომზადება-გადამზადება	3.5	2.6	-0.9	-25.3%
27 04	სამინისტროს სისტემაში შემავალ სამედიცინო და სხვა დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა	53.7	42.0	-11.7	-21.8%
24 17	ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარება	3.4	2.7	-0.7	-20.6%
24 21	კურორტების განვითარების ხელშეწყობა	3.3	2.8	-0.5	-16.4%


[12] საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 56 „სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში“:
 1. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში მოიცავს წლიური ბიუჯეტის შესრულების შესახებ არანაკლებ შემდეგ ინფორმაციას: ვ) მხარჯავი დაწესებულებების პროგრამების მიხედვით დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობის განმარტებას, თუ ასეთი შეუსაბამობა აღემატება 15%-ს;

კაპიტალური პროექტები

2024 წელს, სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული კაპიტალური პროექტების დაფინანსების ფაქტობრივი მაჩვენებელი 4,287.8 მლნ ლარს გაუტოლდა, რაც წლიური გეგმის (4,228.2 მლნ ლარი) 101.4%-ს, ხოლო დაბუსტებული გეგმის (4,185.0 მლნ ლარი) 102.5%-ს შეადგენს. ამასთან, აღსანიშნავია რომ კაპიტალურ პროექტებზე გაწეული თანხებიდან 1,249.1 მლნ ლარი დონორების მიერ დაფინანსებულ სახსრებზე მოდის, საიდანაც 1,223.9 მლნ ლარი - კრედიტს, ხოლო 25.2 მლნ ლარი გრანტს წარმოადგენს.


2024 წელს, კაპიტალურ პროექტებზე გაწეული სახსრების დიდი წილი, 81.1%, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროზე (3,476.8 მლნ ლარი) მოდის, საიდანაც 1,919.8 მლნ ლარი „საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებებზე (პროგრამული კოდი 25 02)“ მიმართა, 683.5 მლნ ლარი - „წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციაზე (პროგრამული კოდი 25 04)“ და 329.5 მლნ ლარი - „რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციაზე (პროგრამული კოდი 25 03)“.

დიაგრამა 49. 2024 წლის კაპიტალური პროექტები, სამინისტროებისა და საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების მიხედვით (მლნ ლარი).



2015-2024 წლებში კაპიტალური პროექტების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2024 წელს დაფიქსირდა, რაც 2023 წლის მონაცემს 529.8 მლნ ლარით (14.1%-ით) აღემატება. აღსანიშნავია, რომ 2016-2024 წლებში კაპიტალურ პროექტებზე მიმართული სახსრების საშუალო ზრდის ტემპი 17.1%-ს შეადგენს.

დიაგრამა 50. 2015-2024 წლებში კაპიტალურ პროექტებზე მიმართული სახსრები (მლნ ლარი).




საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები

2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით, საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები დამტკიცებული ჯამური მოცულობა განისაზღვრა 4,760.1 მლნ ლარის ოდენობით, რომელთა შორის ყველაზე მოცულობითაა შემდეგი სახის გადასახდელები:

- „საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა (პროგრამული კოდი - 56 01)“ – 1,984.0 მლნ ლარის ოდენობით;
- „საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა (პროგრამული კოდი - 56 02)“ – 796.0 მლნ ლარის ოდენობით;
- „აგრონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტებისთვის გადასაცემი ტრანსფერები“ (პროგრამული კოდი - 56 04)“ - 570.9 მლნ ლარის ოდენობით;
- „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი (პროგრამული კოდი - 56 07)“ – 740.0 მლნ ლარის ოდენობით;
- „დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსება (პროგრამული კოდი - 56 11)“ - 430.0 მლნ ლარის ოდენობით;
- „საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდი“ (პროგრამული კოდი - 56 05)“ - 90.0 მლნ ლარის ოდენობით;
- „დონორების მიერ დაფინანსებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები (პროგრამული კოდი - 56 13)“ - 81.0 მლნ ლარის ოდენობით.


საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვისათვის გადასახდელების დაზუსტებული გეგმა, 2024 წლის ბოლოსთვის, 1,980.8 მლნ ლარით განისაზღვრა, ხოლო ფაქტობრივი მაჩვენებელი 1,957.1 მლნ ლარს გაუტოლდა, რაც დაზუსტებული გეგმის 98.8%-ს შეადგენს. აღნიშნული მიმართულებით გაწეული გადასახდელებიდან, საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვაზე 1,239.0 მლნ ლარი მიიმართა, ხოლო მომსახურების (პროცენტის) დაფარვაზე - 718.1 მლნ ლარი. 2015-2024 წლებში, საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვისათვის გადასახდელები, ყველაზე დიდი ოდენობით, 2021 წელს გაიწია, რაც დაკავშირებულია 2011 წელს გამოშვებული, 500 მლნ აშშ დოლარის ღირებულების, 10 წლიანი ფასიანი ქაღალდების (ევრობონდების) დაფარვასთან (1,706.7 მლნ ლარის ოდენობით).

დიაგრამა 51. საგარეო სახელმწიფო ვალდებულების მომსახურებასა და დაფარვაზე გაწეული გადასახდელები, 2015-2024 წლებში (მლნ ლარი)




რაც შეეხება საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებასა და დაფარვაზე გაწეული გადასახდელების წილს სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებში, 2015-2024 წლებში, აღნიშნული მაჩვენებელი ყველაზე მაღალ ნიშნულს (14.8%) 2021 წელს აღწევს, ხოლო 2024 წლისთვის 7.5%-ს შეადგენს, საიდანაც 4.8 პროცენტული პუნქტი ძირითადი თანხის დაფარვაზე მოდის, ხოლო 2.8 პროცენტული პუნქტი - მომსახურების (პროცენტის) დაფარვაზე.

დიაგრამა 52. საგარეო სახელმწიფო ვალდებულების მომსახურებასა და დაფარვაზე განეული გადასახდელების წილი მთლიან გადასახდელებში, 2015-2024 წლებში (%)



საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვისათვის გადასახდელები, დაბუსტებული გეგმით, 2024 წლის ბოლოსთვის, 795.3 მლნ ლარით განისაზღვრა, ფაქტობრივმა მაჩვენებელმა კი 794.3 მლნ ლარი შეადგინა, რაც დაბუსტებული გეგმის 99.9%-ს უტოლდება. აღნიშნული მიმართულებით განეული გადასახდელებიდან, საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვაზე 40.0 მლნ ლარი მიიმართა, ხოლო მომსახურების (პროცენტის) დაფარვაზე - 754.3 მლნ ლარი.


დიაგრამა 53. საშინაო სახელმწიფო ვალდებულების მომსახურებასა და დაფარვაზე განეული გადასახდელები და მისი წილი მთლიან გადასახდელებში, 2015-2024 წლებში (მლნ ლარი, %)



საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის 2024 წლის დამტკიცებული გეგმა 740.0 მლნ ლარის ოდენობით განისაზღვრა, საიდანაც შესაბამისი სამართლებრივი აქტების საფუძველზე, ასიგნებები გადანაწილდა ქვეპროგრამებზე - „მუნიციპალიტეტებისათვის გადასაცემი ტრანსფერები (პროგრამული კოდი - 56 04 02)“ 747.5 მლნ ლარის ოდენობით და „კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და სამუზეუმო სისტემის სრულყოფა“ (პროგრამული კოდი - 33 06)“ 11.5 მლნ ლარის ოდენობით. ჯამურად, აღნიშნული ფონდიდან გადანაწილებული ასიგნებების მოცულობამ 759.0 მლნ ლარი შეადგინა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია, 2015-2024 წლებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დამტკიცებული მოცულობები და ფაქტობრივად ათვისებული თანხები.

დიაგრამა 54. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ასიგნებების დაგეგმილი და ფაქტობრივი მაჩვენებლები, 2015-2024 წლებში (მლნ ლარი).



დონორების მიერ დაფინანსებულმა საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებმა, 2024 წელს, 66.3 მლნ ლარი შეადგინა, რაც დაზუსტებული გეგმის (81.0 მლნ ლარი) 81.8%-ია. აღნიშნული გადასახდელების 47.4% (31.4 მლნ ლარის ოდენობით) მიიმართა პროექტზე - „თბილისის მყარი ნარჩენების მართვა“.

დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსების, 2024 წლის დაზუსტებული გეგმა 430.0 მლნ ლარით განისაზღვრა, ხოლო ფაქტობრივმა მანკენებელმა 390.0 მლნ ლარი (დაზუსტებული გეგმის 90.7%) შეადგინა.


„ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტებისათვის გადასაცემი ტრანსფერების (პროგრამული კოდი 56 04)“ მოცულობა, დაზუსტებული გეგმით, 1,346.3 მლნ ლარით განისაზღვრა, ფაქტობრივად კი 1,345.4 მლნ ლარი (დაზუსტებული გეგმის 99.9%) შეადგინა. 5 პროგრამული კოდის^[13] ფარგლებში გაცემულ კაპიტალურ გრანტებთან ერთად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტებისათვის გადაცემული ტრანსფერები, ჯამურად, 1,362.2 მლნ ლარს გაუტოლდა, საიდანაც 635.1 მლნ ლარი კაპიტალურ ტრანსფერს წარმოადგენს, 726.0 მლნ ლარი - სპეციალურ ტრანსფერს და 1.1 მლნ ლარი - მიზნობრივ ტრანსფერს.

საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების ანალიზისას, საინტერესოა საქართველოს მთავრობის სარეზერვო და მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდების მიმოხილვა.

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდის მოცულობა, დამტკიცებული გეგმით, 90.0 მლნ ლარით განისაზღვრა და შესაბამისი სამართლებრივი აქტების საფუძველზე, სხვადასხვა პროგრამებზე იქნა გადანაწილებული. 2024 წლის ბოლოსთვის, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდის ფაქტობრივმა მოცულობამ 70.4 მლნ ლარი შეადგინა, რაც შემდეგ მხარჯავ დაწესებულებებზე/პროგრამებზე მიიმართა:

- „საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია“ (პროგრამული კოდი 04 00) – 26.2 მლნ ლარი;
- „არჩევნების ჩატარების ღონისძიებები“ (პროგრამული კოდი 06 04) – 13.2 მლნ ლარი;
- „სახელმწიფო ფინანსების მართვა“ (პროგრამული კოდი 23 01) – 11.0 მლნ ლარი;
- სხვა დანარჩენი - 19.9 მლნ ლარი.


დიაგრამა 55. 2024 წელს საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ათვისებული თანხების მიზნობრიობა (მლნ ლარი).



ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია, 2015-2024 წლებში, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდის გეგმით დამტკიცებული მოცულობები და ფაქტობრივად ათვისებული თანხები:

[13] „თბილისის მყარი ნარჩენების მართვა“ (პროგრამული კოდი 56 13 02); „საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით მუნიციპალიტეტებში დაგეგმილი რეფორმების ფინანსური მხარდაჭერა“ (პროგრამული კოდი 56 12); „საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა“ (პროგრამული კოდი 56 13 04); „ბათუმის მუნიციპალური ინფრასტრუქტურა (ფაზა V) (KfW)“ (პროგრამული კოდი 56 13 08); „მდგრადი ურბანული მობილობა (KfW)“ (პროგრამული კოდი 56 13 05).


დიაგრამა 56. საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდის დაგეგმილი და ფაქტობრივი მარჯვენებლები, 2015-2024 წლებში (მლნ ლარი).



რაც შეეხება მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდს, აღნიშნული ფონდის დამტკიცებული მარჯვენებელი, 2024 წელს, განსაზღვრული იყო 20.0 მლნ ლარის ოდენობით. შესრულებამ ფაქტობრივად 20.0 მლნ ლარი შეადგინა და შემდეგ პროგრამაზე/ქვეპროგრამაზე მიიმართა: „მუნიციპალიტეტებისთვის გადასაცემი ტრანსფერები“ (პროგრამული კოდი - 56 04 02) – 16.0 მლნ ლარი, „მაღალმთიან დასახლებებში სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობის პროგრამა“ (პროგრამული კოდი - 31 05 22) - 1.5 მლნ ლარი და „სასოფლო სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროექტი“(პროგრამული კოდი - 31 05 10) - 2.5 მლნ ლარი.


ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან ათვისებული სახსრების მიზნობრიობა:

დიაგრამა 57. 2024 წელს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან ათვისებული თანხების მიზნობრიობა (მლნ ლარი).



ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია, 2016-2024 წლებში, ზემოაღნიშნული ფონდის გეგმით დამტკიცებული მოცულობები და ფაქტობრივად ათვისებული თანხები.

დიაგრამა 58. მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის დაგეგმილი და ფაქტობრივი მარჯვენებლები, 2016-2024 წლებში (მლნ ლარი).



სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება, საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო


ნაშთის ცვლილება

2024 წლის დასაწყისისათვის, სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის დაზუსტებული მოცულობა 1,577.3 მლნ ლარით განისაზღვრა. წლის ბოლოსათვის, ნაშთის გამოყენების გათვალისწინებით, სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშზე არსებული ნაშთის მოცულობა 1,386.2 მლნ ლარს გაუტოლდა - საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილებამ (გამოყენებამ) 191.1 მლნ ლარი შეადგინა. კერძოდ:

- 2024 წლის თავდაპირველი ბიუჯეტის კანონით, შემოსულობები 24,569.5 მლნ ლარით, გადასახდელები კი 25,030.4 მლნ ლარით განისაზღვრა. შესაბამისად, ბიუჯეტის ნაშთის გამოყენება დაიგეგმა, 460.9 მლნ ლარის ოდენობით. დეკემბერში ბიუჯეტის კანონში განხორციელებული ცვლილებით, შემოსულობების მოცულობა 25,696.0 მლნ ლარამდე და გადასახდელების მოცულობა 25,930.4 მლნ ლარამდე გაიზარდა, ნაშთის გამოყენების მარჯვენებელი კი 234.4 მლნ ლარით განისაზღვრა.
- წლის განმავლობაში შემოსულობებისა და გადასახდელების მაღალი ფაქტობრივი მარჯვენებლები დაფიქსირდა (დამტკიცებულ მოცულობასთან შედარებით, შესაბამისად, 59.3 მლნ ლარით და 15.9 მლნ ლარით მეტი). შედეგად, ნაცვლად დაგეგმილი 234.4 მლნ ლარის ოდენობით ნაშთის გამოყენებისა, წლის ბოლოს ნაშთის გამოყენებამ 191.1 მლნ ლარი შეადგინა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება, 2015-2024 წლებში.

დიაგრამა 59. სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება 2015-2024 წლებში (მლნ ლარი).




საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო

რაც შეეხება საოპერაციო სალდოს და მთლიან სალდოს, 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სალდო 1,800.3 მლნ ლარს შეადგენს, ხოლო მთლიანი სალდო - -2,140.9 მლნ ლარს. 2015-2024 წლებში, როგორც საოპერაციო სალდოს, ასევე, მთლიანი სალდოს ყველაზე დაბალი მარკენბელი 2020 წელს (პანდემიის პერიოდში) დაფიქსირდა, რაც დაკავშირებულია, წინა წლებთან შედარებით, შემოსავლების შემცირებასა და ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლებით გადასახდელების ზრდასთან.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო, 2015-2024 წლებში.

დიაგრამა 60. სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო, 2015-2024 წლებში (მლნ ლარი).




ძირითადი მაჩვენებლების შედარება სხვადასხვა ქვეყნების მაჩვენებლებთან¹⁴

საქართველოს მებოხელი ქვეყნები

საქართველოში, 2021 წლიდან, ეკონომიკური ზრდის მაღალი მაჩვენებლები დაფიქსირდა. კერძოდ, 2021 წელს - 10.6%, 2022 წელს - 11.0%, 2023 წელს - 7.8%, ხოლო 2024 წელს რეალური მშპ-ის ზრდამ 9.4% შეადგინა. 2024 წლის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად აღემატება მებოხელი ქვეყნების მაჩვენებლებს. კერძოდ, 2024 წელს, სომხეთში რეალური მშპ-ის ზრდამ 5.9% შეადგინა, აზერბაიჯანსა და რუსეთში - 4.1% და 4.1%, ხოლო თურქეთში - 3.2%.

დიაგრამა 61. ეკონომიკური ზრდა საქართველოსა და მებოხელ ქვეყნებში 2015-2024 წლებში (%).



როგორც დიაგრამაზეა წარმოდგენილი, საქართველოს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი, არა მხოლოდ 2024 წლისთვის იყო ყველაზე მაღალი. საქართველოს ეკონომიკური ზრდის გასული 10 წლის საშუალო მაჩვენებელი 5.6%-ს შეადგენს, რაც ყველაზე მაღალი მონაცემია მებოხელი ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით. სომხეთში აღნიშნული (10 წლის საშუალო ეკონომიკური ზრდა) 4.9%-ს შეადგენს, აზერბაიჯანში - 1.4%-ს, რუსეთში - 1.5%-ს, ხოლო თურქეთში 4.8%-ს.

გარდა ეკონომიკური ზრდისა, საინტერესოა მსყიდველობითი უნარის პარიტეტი^[15] (Purchasing Power Parity - PPP) მიხედვით ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის საქართველოს მაჩვენებლის შედარება მებოხელი ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებთან.

2024 წელს საქართველოს მშპ ერთ სულ მოსახლეზე PPP-ის მიხედვით 24,860.4 საერთაშორისო დოლარს^[16] შეადგენდა. მებოხელი ქვეყნებიდან, საქართველოს აღნიშნული მონაცემი აღემატება სომხეთისა და აზერბაიჯანის, ხოლო ჩამორჩება რუსეთისა და თურქეთის ანალოგიურ მაჩვენებლებს.


[14] მოცემულ თავში განხილული მაჩვენებლები წარმოდგენილია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემების მიხედვით (მსოფლიო ეკონომიკური მიმოხილვა - აპრილი, 2025)

<https://www.imf.org/en/Publications/WEO/Issues/2025/04/22/world-economic-outlook-april-2025>

[15] მსყიდველობითი უნარის პარიტეტი (PPP) ახდენს სხვადასხვა ვალუტის საერთო ვალუტაში კონვერტაციას და მათი მსყიდველობითი უნარის გათანაბრებას ეკონომიკებს შორის ფასების დონის განსხვავებების გათვალისწინებით. მეთი სიმარტივისთვის, იგი წარმოადგენს საზომს, თუ რისი ყიდვა შეუძლია ეკონომიკის ადგილობრივ ვალუტას სხვა ეკონომიკაში. PPP-ზე დაფუძნებული შედარების მეთოდი განსხვავდება საბაზრო გაცვლით კურსზე დაფუძნებული შედარების მეთოდისგან, რადგან ეს უკანასკნელი არ განასხვავებს ეკონომიკის სხვადასხვა პროდუქტის ფარდობითი ფასების დონეს. (მსოფლიო ბანკი)

[16] საერთაშორისო დოლარს აქვს იგივე მსყიდველობითი ძალა, რაც აშშ დოლარს აქვს ამერიკის შეერთებულ შტატებში. მონაცემები მუდმივია 2021 საერთაშორისო დოლარებში. (მსოფლიო ბანკი)


დიაგრამა 62. მშპ ერთ სულ მოსახლეზე მსყიდველობითი უნარის პარიტეტის მიხედვით საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებში 2015-2024 წლებში (2021 საერთაშორისო დოლარი).



როგორც დიაგრამაზეა წარმოდგენილი, საქართველოს მშპ ერთ სულ მოსახლეზე PPP-ის მიხედვით, 2015 წელს, მხოლოდ სომხეთის ანალოგიურ მონაცემს აღემატებოდა, თუმცა საქართველოს მაჩვენებელმა აზერბაიჯანის მონაცემს 2023 წლიდან გადაასწრო. რეგიონში PPP-ის მიხედვით ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი რუსეთში ფიქსირდება და 2024 წლისთვის 41,585.2 საერთაშორისო დოლარის ოდენობით განისაზღვრა, რაც საქართველოს ანალოგიურ მაჩვენებელს 67.3%-ით აღემატება.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ 2016-2024 წლებში რეგიონში PPP-ის მიხედვით მშპ ერთ სულ მოსახლეზე, ნომინალურ გამოსახულებაში, ყველაზე მაღალი ტემპით საქართველოში იზრდებოდა. კერძოდ, 2016-2024 წლებში, საქართველოში, მშპ ერთ სულ მოსახლეზე PPP-ის მიხედვით, ყოველწლიურად, საშუალოდ 5.9%-ით გაიზარდა. ანალოგიური მაჩვენებელი სომხეთში 5.2%-ს შეადგენდა, თურქეთში - 3.6%-ს, რუსეთში - 2.0%-ს და აზერბაიჯანში - 0.7%-ს.


დიაგრამა 63. მსყიდველობითი უნარის პარიტეტის მიხედვით ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის ნომინალური მაჩვენებლის %-ული ცვლილება წინა წელთან შედარებით საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებში (%)



საინტერესოა, ასევე, განვიხილოთ მშპ-ის მიმართ ბიუჯეტის შემოსავლებისა და დანახარტების წილობრივი მაჩვენებლები, საქართველოსა და მეზობელი ქვეყნების მიხედვით, 2015-2024 წლებში.


საქართველოში, მშპ-ის მიმართ საბიუჯეტო შემოსავლების წილობრივი მაჩვენებელი, 2015-2024 წლებში, მცირედი ცვალებადობით ხასიათდება, 24.9%-28.0%-ის ფარგლებში მერყეობს, 2021 წლიდან ზრდადი ტენდენცია აქვს და საშუალოდ 26.3%-ს შეადგენს. აღნიშნული მაჩვენებლის ყველაზე დაბალი ნიშნული 2020 წელს ფიქსირდება, ყველაზე მაღალ ნიშნული - კი 2024 წელს (2022-2023 წლებთან შედარებით იმატებს, შესაბამისად, 1.7 და 0.6 %-ული პუნქტით).

დიაგრამა 64. საქართველოს ბიუჯეტის შემოსავლებისა და დანახარტების წილობრივი მაჩვენებლები მშპ-თან მიმართებით, 2015-2024 წლებში (%).



მეზობელ ქვეყნებთან შედარებით, 2024 წელს, საქართველო, მშპ-ში ბიუჯეტის შემოსავლების წილის (28.0%) მიხედვით, მხოლოდ სომხეთს უსწრებს, რომელსაც ყველაზე დაბალი (25.5%) მაჩვენებელი აქვს, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კი აზერბაიჯანში ფიქსირდება (37.1%). 2015-2024 წლებში, 2024 წლის მსგავსად, საქართველო, აღნიშნული მაჩვენებლით, მხოლოდ სომხეთს უსწრებს (საშუალო მაჩვენებელი - 23.4%). საქართველოსთან თითქმის მიახლოებული მაჩვენებლები აქვს, 2020 წელს - სომხეთს, და ასევე, 2022-2024 წლებში - თურქეთს (რომელსაც საშუალო პოზიცია უკავია). ყველაზე მაღალი პოზიციებით ხასიათდება აზერბაიჯანი (საშუალო მაჩვენებელი 36.2%-ია), და ასევე, რუსეთი, რომელიც სტაბილური მაჩვენებლებით გამოირჩევა (პანდემიისა და ომის პერიოდშიც კი), საშუალო მაჩვენებელი კი 34.4%-ია.


დიაგრამა 65. საქართველოს მეზობელი ქვეყნების ბიუჯეტის შემოსავლები მშპ-თან მიმართებით, 2015-2024 წლებში. (%)




რაც შეეხება საქართველოში მშპ-ის მიმართ სამთავრობო დანახარტების^[17] წილობრივ მაჩვენებელს, იგი 2015-2024 წლებში, მეტ-ნაკლებად ცვალებადობით ხასიათდება, საშუალოდ 29.1%-ს შეადგენს და 26.7%-34.1%-ის ფარგლებში მერყეობს. აღნიშნული მაჩვენებელი მინიმალურ დონეს 2018 წელს აღწევს, ხოლო მაქსიმალურ დონეს - 2020 წელს, 2021 წლიდან კი მცირდება და 2023-2024 წლებში, შესაბამისად, 29.7% და 30.3 %-ს შეადგენს.

[17] სამთავრობო დანახარტები გულისხმობს ნაერთი ბიუჯეტის ხარტებისა და არაფინანსური აქტივების ცვლილების ჯამს.

მეზობელ ქვეყნებთან შედარებით, 2024 წელს, საქართველო, მშპ-ში ბიუჯეტის სამთავრობო დანახარჯების წილის მიხედვით (30.3%), მხოლოდ სომხეთის ანალოგიურ მაჩვენებელს (29.2%) აღემატება, რომელსაც ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კი რუსეთში ფიქსირდება (38.2%). 2015-2024 წლებშიც, მეზობელ ქვეყნებს შორის, სომხეთი ყველაზე დაბალი მაჩვენებლებით გამოირჩევა (24.1%-30.6%-ის ფარგლებში მერყეობს და საშუალოდ 27.0%-ს შეადგენს). საქართველო, აღნიშნული მაჩვენებლით, მოცემულ პერიოდში, აღემატება სომხეთის მაჩვენებლებს. 2015-2024 წლებში, ყველაზე მაღალი პოზიციებით რუსეთი (საშუალო მაჩვენებელი 35.7%) ხასიათდება და ასევე, აზერბაიჯანი (საშუალო მაჩვენებელი 34.0%). აღსანიშნავია, რომ საქართველოსა და დანარჩენ მეზობელ ქვეყნებში (თურქეთის გარდა), 2020 წელს (პანდემიის დასაწყისში), დანახარჯების წილი მშპ-ში მკვეთრად გაზრდილია, 2022 წელს (პანდემიის შემდეგ) კი მკვეთრად შემცირებულია, განსაკუთრებით, აზერბაიჯანში, ასევე, თურქეთსა და საქართველოში.




საბიუჯეტო მაჩვენებლების მიმოხილვისას საინტერესოა, ასევე, საქართველოს მთავრობის ვალისა და დეფიციტის შედარება მეზობელი ქვეყნების მაჩვენებლებთან. 2024 წელს, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემების მიხედვით, საქართველოს სამთავრობო დეფიციტმა მშპ-ის 2.3% შეადგინა. მეზობელი ქვეყნებიდან, საქართველოზე მაღალი მაჩვენებლები დაფიქსირდა თურქეთსა და სომხეთში - 5.2% და 3.8% შესაბამისად, რუსეთის სამთავრობო დეფიციტმა მშპ-ის 2.2% შეადგინა, აზერბაიჯანის შემთხვევაში კი იგი -3.2%-ია (პროფიციტია).



როგორც დიაგრამაზეა წარმოდგენილი, კოვიდ-19-ის პანდემიის პერიოდში (2020-2021 წლებში), მშპ-თან დეფიციტის ფარდობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი საქართველოში დაფიქსირდა, 2020 წელს 9.2% და 2021 წელს 6.0%, თუმცა მომდევნო წლებში შემცირდა აღნიშნული ფარდობის მაჩვენებელი და როგორც ზემოთ აღინიშნა, 2024 წლისთვის 2.3% შეადგინა.

რაც შეეხება მთავრობის ვალის ფარდობას მთლიან შიდა პროდუქტთან, 2024 წლის მონაცემების მიხედვით აღნიშნული მაჩვენებელი საქართველოს შემთხვევაში - 36.1%-ს უტლდება. მეზობელი ქვეყნებიდან, 2024 წლისთვის, საქართველოზე მაღალი მაჩვენებელი სომხეთს აქვს - მშპ-ის 50.3%, ხოლო დანარჩენი ქვეყნების მთავრობის ვალის მშპ-თან ფარდობის მაჩვენებელი ჩამორჩება საქართველოს მონაცემს. კერძოდ, აზერბაიჯანი - 20.9%, რუსეთი - 20.3% და თურქეთი - 26.0%. 2015-2024 წლებში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა სომხეთის შემთხვევაში 2020 წელს 67.4%-ის ოდენობით, ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა რუსეთის შემთხვევაში 2018 წელს 13.6%-ის ოდენობით.


დიაგრამა 68. საქართველოს მეზობელი ქვეყნების მთავრობის ვალის %-ული შეფარდება მშპ-თან 2015-2024 წლებში (%)



ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნები

საქართველოს მაჩვენებლების შედარება, გარდა მეზობელი ქვეყნების მაჩვენებლებისა, საინტერესოა, ასევე, ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნების მაჩვენებლებთან. 2024 წელს, ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნებიდან, ყველაზე მაღალი ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი საქართველოში დაფიქსირდა - 9.4%, ხოლო ყველაზე დაბალი მოლდოვაში - 0.5%.


დიაგრამა 69. ეკონომიკური ზრდა ევროკავშირის წევრობის კანდიდატ ქვეყნებში 2015-2024 წლებში (%).



მსგავსად მეზობელი ქვეყნებისა, ევროკავშირის წევრობის კანდიდატ ქვეყნებს შორის, გასული 10 წლის (2015-2024 წლების) ეკონომიკური ზრდის ყველაზე მაღალი საშუალო მაჩვენებელი, ასევე, საქართველოში დაფიქსირდა (5.6%).

რაც შეეხება PPP-ის მიხედვით მშპ-ს ერთ სულ მოსახლეზე ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნების მიხედვით, 2024 წლისთვის საქართველოს მაჩვენებელი (24,860.4 საერთაშორისო დოლარი) აღემატება 5 ქვეყნის (ალბანეთი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, მოლდოვა, ჩრდილოეთ მაკედონია და უკრაინა) და ჩამორჩება 3 ქვეყნის (მონტენეგრო, სერბეთი და თურქეთი) მაჩვენებლებს.


დიაგრამა 70. მშპ ერთ სულ მოსახლეზე მსყიდველობითი უნარის პარიტეტის მიხედვით ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნებში 2015-2024 წლებში (2021 საერთაშორისო დოლარი).



როგორც დიაგრამაზეა გამოსახული, არამხოლოდ 2024 წელს, არამედ გასული 10 წლის მანძილზე PPP-ის მიხედვით ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ყოველწლიურად თურქეთში ფიქსირდებოდა და მნიშვნელოვნად აღემატებოდა ევროკავშირის წევრობის კანდიდატი სხვა დანარჩენი ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებს.


აღსანიშნავია, რომ 2016-2024 წლებში ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნებს შორის PPP-ის მიხედვით მშპ ერთ სულ მოსახლეზე, ნომინალურ გამოსახულებაში, ყველაზე მაღალი ტემპით საქართველოში იზრდებოდა. კერძოდ, 2016-2024 წლებში, საქართველოში, მშპ ერთ სულ მოსახლეზე PPP-ის მიხედვით, ყოველწლიურად, საშუალოდ 5.9%-ით იზრდებოდა. აღნიშნული მაჩვენებელი გარდა ჩრდილოეთ მაკედონიისა და უკრაინისა, სხვა კანდიდატი ქვეყნებში 3%-დან 4.4%-მდე მერყეობდა, უკრაინაში 1.4% შეადგინა, ხოლო ჩრდილოეთ მაკედონიაში - 2.6%.

დიაგრამა 71. მსყიდველობითი უნარის პარიტეტის მიხედვით ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის ნომინალური მაჩვენებლის %-ული ცვლილება წინა წელთან შედარებით ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნებში (%)



ევროკავშირის წევრობის კანდიდატ ქვეყნებთან შედარებით, მშპ-ში საბიუჯეტო შემოსავლებს წილის მიხედვით, 2024 წელს, ყველაზე დაბალი მაჩვენებლით საქართველო (28.0%) ხასიათდება, თუმცა მასთან თითქმის მიახლოებული მაჩვენებლები აქვს ალბანეთს (28.1%) და აგრეთვე, თურქეთს (28.7%), ხოლო ყველაზე მაღალი მაჩვენებელი უკრაინას^[18] აქვს (54.1%). მსგავსად 2024 წლისა, 2015-2024 წლებშიც, ყველაზე დაბალი მაჩვენებლებით საქართველო გამოირჩევა (საშუალოდ 26.3%), თუმცა მასთან თითქმის მიახლოებული მაჩვენებლები აქვს ალბანეთს (საშუალოდ, 27.0%) და 2022-2024 წლებში, ასევე, თურქეთს. ზოგადად, აღნიშნული მაჩვენებლის მიხედვით, ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნები შეიძლება დაიყოს 2 ჯგუფად: მშპ-ში შემოსავლების წილის მაჩვენებლის მიხედვით, 25%-დან 35%-მდე დიაპაზონშია საქართველოს, ალბანეთის, ჩრდილოეთ მაკედონიის, მოლდოვას და თურქეთის მაჩვენებლები, ხოლო სერბეთის, უკრაინის, მონტენეგროსა და ბოსნია-ჰერცეგოვინას ანალოგიური მაჩვენებლები 35%-დან 45%-მდე დიაპაზონში მერყეობს (თუმცა უკრაინის შემთხვევაში, 2021-2024 წლებში მკვეთრად განსხვავებული მდგომარეობაა, პანდემიისა და ომის შედეგად შექმნილი ვითარების გავლენით).


დიაგრამა 72. ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნების ბიუჯეტის შემოსავლები მშპ-თან მიმართებით, 2015-2024 წლებში (%)



ევროკავშირის წევრობის კანდიდატ ქვეყნებთან შედარებით, მშპ-ში სამთავრობო დანახარტების წილის მიხედვით, 2024 წელს, ერთ-ერთი დაბალი მაჩვენებლებით საქართველო (30.3%) გამოირჩევა. ალბანეთის მაჩვენებელი 1.7%-ული პუნქტით ჩამორჩება საქართველოს მონაცემს, ხოლო ყველაზე მაღალი მაჩვენებელი უკრაინაში (71.4%) ფიქსირდება. 2015-2024 წლებში საშუალოდ, საქართველო, ყველაზე დაბალი მაჩვენებლებით ხასიათდება, თუმცა 2020 და 2023 წლებში, მცირედით (შესაბამისად, 1.7 და 1.2 %-ული პუნქტებით), აღემატება ალბანეთს, და 2022 წელს - თურქეთს (1.2 %-ული პუნქტით). მშპ-ში დანახარტების წილის მიხედვით, ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნები, ასევე, შეიძლება დაიყოს 2 ჯგუფად: აღნიშნული მაჩვენებლის მიხედვით, 27%-დან 39%-მდე დიაპაზონშია საქართველოს, ალბანეთის, ჩრდილოეთ მაკედონიის, მოლდოვასა და თურქეთის მაჩვენებლები, ხოლო სერბეთის, უკრაინის, მონტენეგროსა და ბოსნია-ჰერცეგოვინას ანალოგიური მაჩვენებლები 39%-დან 55%-მდე დიაპაზონში მერყეობს (უკრაინის შემთხვევაში, 2021-2024 წლებში, მკვეთრად განსხვავებული მდგომარეობაა პანდემიისა და ომის შედეგად შექმნილი ვითარების გავლენით). მშპ-ში დანახარტების წილის მაჩვენებელი, 2020 წელს, წინა წლებთან შედარებით, ევროკავშირის კანდიდატ ქვეყნებშიც მკვეთრად გაზრდილია (თურქეთის გარდა), 2022 წელს (პანდემიის შემდეგ) კი მკვეთრად შემცირებულია, განსაკუთრებით, მონტენეგროსა და თურქეთში, თუმცა 2020 წლის აღნიშნული მაჩვენებლის 2015-2019 და 2021-2024 წლების საშუალო დონიდან გადახრის სიდიდე, მონტენეგროს შემდეგ, ყველაზე მაღალია საქართველოსა და ბოსნია-ჰერცეგოვინაში, ასევე, სერბეთში.


[18] აღსანიშნავია, რომ რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებიდან, უკრაინის ბიუჯეტის შემოსავლები მშპ-თან მიმართებით მნიშვნელოვნად გაიზარდა, კერძოდ, 2021 წელს, აღნიშნული მაჩვენებელი 36.5%-ს შეადგენდა, 2024 წელს - 54.1%-მდე გაიზარდა.

დიაგრამა 73. ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნების სამთავრობო დანახარჯები მშპ-თან მიმართებით, 2015-2024 წლებში (%)



საბიუჯეტო მარჯვენებლების მიმოხილვისას საინტერესოა, ასევე, საქართველოს მთავრობის ვალისა და დეფიციტის შედარება ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნების მარჯვენებლებთან. 2024 წელს, ევროკავშირის წევრობის კანდიდატ ქვეყნებს შორის, დეფიციტის მშპ-თან ფარდობის ყველაზე დაბალი მარჯვენებელი ალბანეთის შემთხვევაში ფიქსირდება და 0.5%-ს შეადგენს, ხოლო ყველაზე მაღალი მარჯვენებელი - უკრაინის შემთხვევაში^[19], რომელიც 17.2%-ს უტოლდება. 2024 წელს, გარდა უკრაინისა, ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნებიდან, საქართველოს მარჯვენებელზე (2.3%) მაღალი სამთავრობო დეფიციტის ფარდობა მშპ-თან დაფიქსირდა თურქეთში (5.2%), ჩრდილოეთ მაკედონიაში (4.4%), მოლდოვასა (3.9%) და მონტენეგროსში (2.8%), ხოლო საქართველოზე დაბალი მარჯვენებელი დაფიქსირდა სერბეთში (1.7%), ბოსნია-ჰერცეგოვინასა (1.6%) და ალბანეთში (0.5%).

დიაგრამა 74. ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნების სამთავრობო დეფიციტის %-ული შეფარდება მშპ-თან 2015-2024 წლებში (%)




როგორც დიაგრამაზეა წარმოდგენილი, ევროკავშირის წევრობის კანდიდატ ქვეყნებში, სამთავრობო დეფიციტის მშპ-თან ფარდობის მარჯვენებელი მკვეთრად გაიზარდა პანდემიის პერიოდში. კერძოდ, 2020 წელს ყველაზე მაღალი მარჯვენებელი მონტენეგროში დაფიქსირდა 10.9%-ის ოდენობით.

[19] აღსანიშნავია, რომ რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა უკრაინის სამთავრობო დეფიციტის მარჯვენებელი. კერძოდ, 2021 წელს აღნიშნული მარჯვენებელი 4.0%-ს შეადგენდა, 2022 წელს კი 15.6%-მდე გაიზარდა.

რაც შეეხება მთავრობის ვალს, 2024 წელს ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნებიდან მთავრობის ვალის მშპ-თან ფარდობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს უკრაინას - 89.8%^[20], ხოლო ყველაზე დაბალი თურქეთს - 26.0%. გარდა უკრაინისა, ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნებიდან საქართველოს მაჩვენებელზე (36.1%) მაღალი მთავრობის ვალის მშპ-თან ფარდობის მაჩვენებელი, 2024 წელს, ჰქონდა მონტენეგროს (62.6%), ალბანეთს (55.7%), ჩრდილოეთ მაკედონიას (54.8%), სერბეთს (44.5%) და მოლდოვას (38.1%). 2015-2024 წლებში, ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნებში მთავრობის ვალის მშპ-თან ფარდობის მაღალი მაჩვენებლები დაფიქსირდა პანდემიის პერიოდში (განსაკუთრებით 2020 წელს), რა დროსაც მაღალი დონით გამოირჩეოდა მონტენეგროს და ალბანეთის მთავრობის ვალის მაჩვენებლები, შესაბამისად მშპ-ის 107.3% და 75.4%.

დიაგრამა 75. ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნების მთავრობის ვალის %-ული შეფარდება მშპ-თან 2015-2024 წლებში (%)




ევროკავშირი და განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნები^[21]

საქართველოს მეზობელი და ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნების გარდა საინტერესოა, ასევე, საქართველოს მაჩვენებლების შედარება ევროკავშირისა და განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნების ჯგუფების მონაცემებთან.

2024 წელს, საქართველოს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად აღემატება ევროკავშირისა და განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნების მაჩვენებლებს. კერძოდ, 2024 წელს საქართველოს ეკონომიკური ზრდა 9.4%-ს შეადგენს, ევროკავშირის მაჩვენებელი - 1.1%-ს, ხოლო განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნების მონაცემი 4.3%-ს უტოლდება.

დიაგრამა 76. ეკონომიკური ზრდა საქართველოში, ევროკავშირისა და განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში 2015-2024 წლებში (%).




[20] აღსანიშნავია, რომ რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა უკრაინის მთავრობის ვალის მაჩვენებელი. კერძოდ, 2021 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 48.9%-ს შეადგენდა, 2022 წელს კი 77.7%-მდე გაიზარდა.

[21] საერთაშორისო სავალუტო ფონდის კლასიფიკაციის მიხედვით (მსოფლიო ეკონომიკური მიმოხილვა, აპრილი 2025)

საქართველოს ეკონომიკური ზრდის გასული 10 წლის საშუალო მაჩვენებელი (5.6%), ასევე, მაღალია ევროკავშირისა და განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნების ანალოგიურ მონაცემებთან შედარებით. გასულ 10 წელში ევროკავშირის მაჩვენებელმა საშუალოდ 1.8%, ხოლო განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნების მაჩვენებელმა 4.0% შეადგინა.


რაც შეეხება მშპ-ს ერთ სულ მოსახლეზე PPP-ის მიხედვით, ევროკავშირში, 2024 წლისთვის 54,821.9 საერთაშორისო დოლარი შეადგინა, საქართველოს მაჩვენებელზე (24,860.4 საერთაშორისო დოლარი) 2.2-ჯერ მეტი. განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნების მშპ ერთ სულ მოსახლეზე PPP-ის მიხედვით, 2024 წლისთვის, 15,181.8 საერთაშორისო დოლარს უტოლდება (საქართველოს მონაცემზე 9,678.5 საერთაშორისო დოლარით ნაკლები). საქართველოს აღნიშნული მაჩვენებელი არა მხოლოდ 2024 წელს, არამედ გასული 10 წლის მანძილზე ყოველწლიურად აღემატება განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნების ანალოგიურ მონაცემს.

დიაგრამა 77. მშპ ერთ სულ მოსახლეზე მსყიდველობითი უნარის პარიტეტის მიხედვით საქართველოში, ევროკავშირსა და განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში 2015-2024 წლებში (2021 საერთაშორისო დოლარი).




ამასთან, აღსანიშნავია, რომ 2016-2024 წლებში საქართველოში PPP-ის მიხედვით მშპ ერთ სულ მოსახლეზე, ნომინალურ გამოსახულებაში, ყოველწლიურად, საშუალოდ 5.9%-ით იზრდებოდა, მაშინ როცა ევროკავშირის ანალოგიური მაჩვენებელი 1.5%-ს, ხოლო განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნების ჯგუფის ანალოგიური მაჩვენებელი 2.8%-ს შეადგენდა.

დიაგრამა 78. მსყიდველობითი უნარის პარიტეტის მიხედვით ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის ნომინალური მაჩვენებლის %-ული ცვლილება წინა წელთან შედარებით საქართველოში, ევროკავშირსა და განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში (%)




ევროკავშირისა და განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნების ჯგუფების მარჯვენებლეთან შედარებით, 2024 წელს, ბიუჯეტის შემოსავლებს მშპ-თან ფარდობის მარჯვენებლის მიხედვით, საქართველო (28.0%) მცირედით აღემატება განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნების ანალოგიურ მარჯვენებელს (26.1%), მაგრამ მნიშვნელოვნად ჩამორჩება ევროკავშირის მარჯვენებელს (46.0%). მსგავსი სურათია 2015-2024 წლებშიც, კერძოდ, საქართველოში ბიუჯეტის შემოსავლების მშპ-თან ფარდობის საშუალო მარჯვენებელი (26.3%) თითქმის უტოლდება განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნების ანალოგიურ მარჯვენებელს (26.0%) და მნიშვნელოვნად ჩამორჩება ევროკავშირის მარჯვენებელს (46.0%).

დიაგრამა 79. საქართველოს, ევროკავშირისა და განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნების ბიუჯეტის შემოსავლები მშპ-თან მიმართებით, 2015-2024 წლებში (%)




მშპ-ში სამთავრობო დანახარტების წილის მიხედვით, საქართველოს მარჯვენებელი (30.3%), 2024 წელს, თითქმის უტოლდება (მცირედით ჩამორჩება) განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნების ანალოგიურ მარჯვენებელს (31.6%), ხოლო ევროკავშირის მარჯვენებელზე (49.1%) მნიშვნელოვნად ნაკლებია. მსგავსი მდგომარეობაა 2015-2024 წლებშიც, კერძოდ, საქართველო, მშპ-ში სამთავრობო დანახარტების წილის საშუალო მარჯვენებლით (29.1%), განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნების ანალოგიურ მარჯვენებელს (30.9%) - მცირედით, ევროკავშირის მარჯვენებელს (48.7%) კი მნიშვნელოვნად ჩამორჩება.

დიაგრამა 80. საქართველოს, ევროკავშირისა და განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნების სამთავრობო დანახარტები მშპ-თან მიმართებით 2015-2024 წლებში (%)




საინტერესოა საქართველოს სამთავრობო დეფიციტის მშპ-თან ფარდობის მაჩვენებლის შედარება ევროკავშირისა და განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებთან. 2024 წელს საქართველოს მონაცემი (2.3%) დაბალია ევროკავშირის და განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნების მაჩვენებლებთან შედარებით. კერძოდ, ევროკავშირის შემთხვევაში სამთავრობო დეფიციტის მშპ-თან ფარდობა 3.2%-ია, ხოლო განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნების შემთხვევაში აღნიშნული მაჩვენებელი 5.5%-ს უტოლდება. კოვიდ-19-ის პანდემიის პერიოდში (2020-2021 წლებში), საქართველოს სამთავრობო დეფიციტის მშპ-თან ფარდობის მაჩვენებელი (2020 წელს 9.2% და 2021 წელს 6.0%) აღემატებოდა ევროკავშირისა და განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნების მონაცემებს, ხოლო პანდემიამდე პერიოდში, საქართველოს მაჩვენებელი მკვეთრად ჩამორჩებოდა განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნების მონაცემებს და მცირედით აღემატებოდა ევროკავშირის მაჩვენებლებს.

დიაგრამა 81. საქართველოს, ევროკავშირის და განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნების სამთავრობო დეფიციტის %-ული შეფარდება მშპ-თან 2015-2024 წლებში (%)



რაც შეეხება მთავრობის ვალს, 2024 წელს საქართველოს მთავრობის ვალის მშპ-თან ფარდობის მაჩვენებელი (36.1%) საკმაოდ დაბალია ევროკავშირის და განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით. კერძოდ, 2024 წელს, ევროკავშირის შემთხვევაში აღნიშნული მაჩვენებელი 82.5%-ია, ხოლო განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნების შემთხვევაში მაჩვენებელი 69.5%-ს უტოლდება. 2015-2024 წლებში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა ევროკავშირის შემთხვევაში 2020 წელს 91.3%-ის ოდენობით, რა დროსაც განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნების მთავრობის ვალის მშპ-თან ფარდობის მაჩვენებელმა 64.1%, ხოლო საქართველოს ანალოგიურმა მაჩვენებელმა 59.6% შეადგინა.

დიაგრამა 82. საქართველოს, ევროკავშირის და განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნების მთავრობის ვალის %-ული შეფარდება მშპ-თან 2015-2024 წლებში (%)



დანართები

დანართი 1: ცენტრალური ბიუჯეტის^[22] შესრულების მიმოხილვა

2024 წელს სახელმწიფო ბიუჯეტში მიღებულმა შემოსულობებმა 25,755.3 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო გაწეულმა გადასახდელებმა - 25,946.3 მლნ ლარი. ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ-ების/ა(ა)იპ-ების კანონმდებლობით ნებადართული საკუთარი შემოსავლების ფარგლებში^[23] მიღებული შემოსულობები 2,351.5 მლნ ლარს გაუტოლდა, ხოლო გაწეული გადასახდელები - 2,189.5 მლნ ლარს. 2024 წელს სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების^[24] შემოსულობებმა 2,674.8 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო გადასახდელებმა - 2,510.8 მლნ ლარი.

2024 წელს ზემოაღნიშნულ ბიუჯეტებს (სახელმწიფო, სსიპ-ების/ა(ა)იპ-ების და სახელმწიფო საწარმოების ბიუჯეტები) შორის გადარიცხულმა სახსრებმა 1,606.9 მლნ ლარი შეადგინა. კერძოდ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ-ების/ა(ა)იპ-ების ბიუჯეტებში გადარიცხვა გრანტი 226.7 მლნ ლარის ოდენობით (მ.შ. მიმდინარე გრანტი - 206.0 მლნ ლარი და კაპიტალური გრანტი - 20.7 მლნ ლარი), ხოლო სახელმწიფო საწარმოების ბიუჯეტებში - 1,126.5 მლნ ლარი (მ.შ. 775.0 მლნ ლარი - კაპიტალური ტრანსფერი, 233.8 მლნ ლარი - სუბსიდიები და 117.7 მლნ ლარი - სესხები). სსიპების/ა(ა)იპების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში ჩაირიცხა 167.6 მლნ ლარი (მ.შ. გრანტი - 146.8 მლნ ლარი, სესხის დაფარვა - 14.3 მლნ ლარი, პროცენტი - 6.6 მლნ ლარი). სახელმწიფო საწარმოების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში ჩაირიცხა 86.0 მლნ ლარი (მ.შ. სესხის დაფარვა - 31.7 მლნ ლარი, პროცენტი - 54.3 მლნ ლარი).

ყოველივე ზემოაღნიშნული სახსრების კონსოლიდაციის გათვალისწინებით, საქართველოს 2024 წლის ცენტრალური ბიუჯეტის ფაქტობრივმა შემოსულობებმა 29,174.7 მლნ ლარი შეადგინა, გაწეულმა გადასახდელებმა - 29,039.8 მლნ ლარი და ნაშთის დაგროვებამ - 134.9 მლნ ლარი.

ცხრილი 17. 2024 წლის ცენტრალური ბიუჯეტის შესრულება (მლნ ლარი).

	2024 წლის ცენტრალური ბიუჯეტი ²⁵	სახელმწიფო ბიუჯეტი	სსიპების/ ა(ა)იპების კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლები	სახელმწიფო საწარმოები
შემოსულობები	29,174.7	25,755.3	2,351.5	2,674.8
შემოსავლები	25,218.5	21,848.8	2,298.6	2,514.2
არაფინანსური აქტივების კლება	344.1	301.3	32.2	10.6
ფინანსური აქტივების კლება	318.7	344.6	18.0	2.1
ვალდებულებების ზრდა	3,293.5	3,260.6	2.6	148.0
გადასახდელები	29,039.8	25,946.3	2,189.5	2,510.8
ხარჯები	21,953.4	20,048.5	1,771.1	1,576.9
არაფინანსური აქტივების ზრდა	5,415.2	4,242.5	392.3	780.4
ფინანსური აქტივების ზრდა	283.7	365.3	1.0	35.1
ვალდებულებების კლება	1,387.6	1,290.0	25.2	118.4
ნაშთის ცვლილება	134.9	-191.1	161.9	164.0

[22] ცენტრალური ბიუჯეტი - სახელმწიფო ბიუჯეტის, საჯარო სამართლის იურიდიული პირების (რომელიც შექმნილია/დაფუძნებულია შესაბამისი კანონით, საქართველოს მთავრობის დადგენილებით ან კანონის საფუძველზე სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ადმინისტრაციული აქტით, ან ამ საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი), არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისა (რომელიც შექმნილია/დაფუძნებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ორგანოს ან/და მის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის მიერ) და ცენტრალური ხელისუფლების მართვაში არსებული სახელმწიფო საწარმოების ბიუჯეტების კონსოლიდირებული ბიუჯეტი. ცენტრალური ბიუჯეტი არ ექვემდებარება არცერთი ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დამტკიცებას;

[23] ცენტრალური ბიუჯეტის ფარგლებში არსებულ სსიპ-ებს/ა(ა)იპ-ებს შორის გადარიცხული სახსრები დაკონსოლიდირებულია წარმოდგენილ მონაცემებში.

[24] მთავრობის ინფორმაციით სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების მონაცემები ეყრდნობა შესაბამისი საწარმოს მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას. სამთავრობო სექტორს მიკუთვნებულ სახელმწიფო საწარმოებს შორის გადარიცხული სახსრები დაკონსოლიდირებულია წარმოდგენილ მონაცემებში.

[25] 2024 წლის ცენტრალური ბიუჯეტის სვეტში, დაკონსოლიდირებულია სახელმწიფო ბიუჯეტს, სსიპებს/ა(ა)იპებს და სახელმწიფო საწარმოებს შორის გადარიცხული თანხები.

რაც შეეხება ცენტრალური ბიუჯეტის საოპერაციო სალდოს და მთლიან სალდოს, 2024 წელს ცენტრალური ბიუჯეტის საოპერაციო სალდო 3,265.1 მლნ ლარით განისაზღვრა, ხოლო მთლიანი სალდო - -1,806.0 მლნ ლარით.

ცხრილი 18. 2024 წლის ცენტრალური ბიუჯეტის ბალანსი (მლნ ლარი).


	2024 წლის ცენტრალური ბიუჯეტი	სახელმწიფო ბიუჯეტი	სსიპების/ ა(ა)იპების კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლები	სახელმწიფო საწარმოები
შემოსავლები	25,218.5	21,848.8	2,298.6	2,514.2
გადასახადები	20,196.5	20,196.5	0.0	0.0
გრანტები	194.1	335.9	231.6	1,008.8
სხვა შემოსავლები	4,827.9	1,316.4	2,067.0	1,505.4
ხარჯები	21,953.4	20,048.5	1,771.1	1,576.9
შრომის ანაზღაურება	3,483.5	2,586.0	663.1	234.5
საქონელი და მომსახურება	4,264.8	2,301.3	791.5	1,172.0
პროცენტი	1,478.9	1,472.4	9.8	57.6
სუბსიდიები	932.8	1,165.2	1.5	0.0
გრანტები	1,481.1	1,706.6	147.9	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	7,811.0	7,787.3	20.5	3.1
სხვა ხარჯები	2,501.1	3,029.7	136.8	109.7
საოპერაციო სალდო	3,265.1	1,800.3	527.5	937.3
არაფინანსური აქტივების ცვლილება	5,071.1	3,941.2	360.0	769.8
ზრდა	5,415.2	4,242.5	392.3	780.4
კლება	344.1	301.3	32.2	10.6
მთლიანი სალდო	-1,806.0	-2,140.9	167.5	167.5
ფინანსური აქტივების ცვლილება	99.9	-170.4	144.9	197.1
ზრდა	609.7	365.3	162.9	199.2
კლება	509.7	535.6	18.0	2.1
ვალდებულებების ცვლილება	1,905.9	1,970.6	-22.6	29.6
ზრდა	3,293.5	3,260.6	2.6	148.0
საშინაო	1,554.2	1,521.3	2.6	148.0
საგარეო	1,739.3	1,739.3	0.0	0.0
კლება	1,387.6	1,290.0	25.2	118.4
საშინაო	142.9	45.3	25.2	118.4
საგარეო	1,244.7	1,244.7	0.0	0.0
ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0

ცენტრალური ბიუჯეტის შემოსულობები

საქართველოს 2024 წლის ცენტრალური ბიუჯეტის კონსოლიდირებულმა შემოსულობებმა 29,174.7 მლნ ლარი შეადგინა, მ.შ. სახელმწიფო, სსიპ-ების/ა(ა)იპ-ების და სახელმწიფო საწარმოების ბიუჯეტებს შორის გადარიცხული სახსრების (ჯამურად 1,606.9 მლნ ლარი) გარდა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა 25,501.6 მლნ ლარი შეადგინა, სსიპ-ების/ა(ა)იპ-ების შემოსულობებმა - 2,124.8 მლნ ლარი და სახელმწიფო საწარმოების შემოსულობებმა - 1,548.3 მლნ ლარი.

2024 წელს ცენტრალური ბიუჯეტის შემოსულობების 87.4% სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებზე მოდის, 7.3% - ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ-ების/ა(ა)იპ-ების კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლების ფარგლებში მიღებულ შემოსულობებზე, ხოლო 5.3% - სახელმწიფო საწარმოების მიერ მიღებულ შემოსულობებზე.

დიაგრამა 83. 2024 წელს ცენტრალური ბიუჯეტის შემოსულობების განაწილება ბიუჯეტების მიხედვით (%).



2024 წელს ცენტრალური ბიუჯეტის შემოსულობების 86.4% მოდის შემოსავლების კომპონენტზე, რომლის მობილიზების მაჩვენებელმაც 25,218.5 მლნ ლარი შეადგინა. ცენტრალური ბიუჯეტის შემოსულობების სიდიდით მეორე კომპონენტის (შემოსულობების 11.3%), ვალდებულებების ზრდის, მაჩვენებელი 3,293.5 მლნ ლარით განისაზღვრა. რაც შეეხება არაფინანსური და ფინანსური აქტივების კლების შედეგად მიღებულ სახსრებს, აღნიშნული კომპონენტების ფარგლებში მოხდა შესაბამისად 344.1 მლნ ლარის და 318.7 მლნ ლარის მობილიზება, რაც მთლიანი შემოსულობების 1.2%-ს და 1.1%-ს წარმოადგენს.

ცხრილი 19. 2024 წელს ცენტრალური ბიუჯეტის შემოსულობები კომპონენტების მიხედვით (მლნ ლარი, %).

	2024 წლის ცენტრალური ბიუჯეტი	წილი შემოსულობებში
შემოსულობები	29,174.7	
შემოსავლები	25,218.5	86.4%
არაფინანსური აქტივების კლება	344.1	1.2%
ფინანსური აქტივების კლება	318.7	1.1%
ვალდებულებების ზრდა	3,293.5	11.3%

ვინაიდან სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების დეტალური ანალიზი დოკუმენტის შესაბამის თავებშია წარმოდგენილი, ცენტრალური ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების მიმოხილვისას საინტერესოა ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ-ების/ა(ა)იპ-ების კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლების ფარგლებში მიღებული შემოსულობებისა და სახელმწიფო საწარმოების შემოსულობების ანალიზი.

2024 წელს სსიპ-ების/ა(ა)იპ-ების კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლების ფარგლებში მიღებულმა შემოსულობებმა 2,351.5 მლნ ლარი შეადგინა, საიდანაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან გრანტის სახით მიღებული შემოსავალი შეადგენს 226.7 მლნ ლარს. შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გრანტის სახით მიღებული შემოსავლის გარდა, სსიპ-ების/ა(ა)იპ-ების კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლების ფარგლებში მიღებული შემოსულობები 2,124.8 მლნ ლარს გაუტოლდა.

ცხრილი 20. ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ-ების/ა(ა)იპ-ების კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლების ფარგლებში მიღებული შემოსულობები 2024 წელს (მლნ ლარი).

	სსიპების/ ა(ა)იპების შემოსულობები	სსიპების/ა(ა)იპების შემოსულობები სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული გრანტების გარეშე	სხვაობა
შემოსულობები	2,351.5	2,124.8	226.7
შემოსავლები	2,298.6	2,071.9	226.7
გადასახადები	-	-	-
გრანტები	231.6	4.9	226.7
სხვა შემოსავლები	2,067.0	2,067.0	-
არაფინანსური აქტივების კლება	32.2	32.2	-
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	18.0	18.0	-
ვალდებულებების ზრდა	2.6	2.6	-
საშინაო	2.6	2.6	-
საგარეო	-	-	-

როგორც ცხრილშია წარმოდგენილი, 2024 წელს მიღებული შემოსულობის დიდი წილი (შემოსულობების 97.8%) შემოსავლებზე მოდის. შემოსავლების სახით მიღებულია 2,298.6 მლნ ლარი, საიდანაც 231.6 მლნ ლარი წარმოადგენს გრანტების სახით მიღებულ შემოსავლებს (მ.შ.სახელმწიფო ბიუჯეტიდან 226.7 მლნ ლარი), ხოლო 2,067.0 მლნ ლარი - სხვა შემოსავლებს. არაფინანსური აქტივების კლების მუხლით მიღებული შემოსულობა 32.2 მლნ ლარს შეადგენს, ხოლო ფინანსური აქტივების კლების მუხლით მობილიზებულია 18.0 მლნ ლარი. 2024 წელს ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ-ების/ა(ა)იპ-ების კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლების ფარგლებში ვალდებულებების ზრდის მარცვნილებმა 2.6 მლნ ლარი შეადგინა, რაც სრულად საშინაო წყაროდან ვალდებულებების ზრდაზე მოდის.

2024 წელს სახელმწიფო საწარმოების მიერ მიღებულმა შემოსულობებმა 2,674.8 მლნ ლარი შეადგინა, საიდანაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან სუბსიდიებისა (233.8 მლნ ლარი) და კაპიტალური ტრანსფერების (775.0 მლნ ლარი) სახით მიღებული შემოსავალი 1,008.8 მლნ ლარს შეადგენს, ხოლო სესხის სახით მიღებული სახსრები 117.7 მლნ ლარს უტოლდება. შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სახსრების გარდა სახელმწიფო საწარმოების შემოსულობებმა, 2024 წელს, 1,548.3 მლნ ლარი შეადგინა (ჯამური შემოსულობების 57.9%).

ცხრილი 21. სამთავრობო სექტორს მიკუთვნიებული სახელმწიფო საწარმოების მიერ მიღებული შემოსულობები 2024 წელს (მლნ ლარი).

	სახელმწიფო საწარმოების შემოსულობები	საწარმოების შემოსულობები სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სახსრების გარეშე	სხვაობა
შემოსულობები	2,674.8	1,548.3	1,126.5
შემოსავლები	2,514.2	1,505.4	1,008.8
გადასახადები	-	-	-
გრანტები	1,008.8	0.0	1,008.8
სხვა შემოსავლები	1,505.4	1,505.4	-
არაფინანსური აქტივების კლება	10.6	10.6	-
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	2.1	2.1	-
ვალდებულებების ზრდა	148.0	30.3	117.7
საშინაო	148.0	30.3	117.7
საგარეო	-	-	-


2024 წელს მიღებული შემოსულობის დიდი წილი (შემოსულობების 94.0%) მოდის შემოსავლებზე, რომლის სახით 2,514.2 მლნ ლარია მიღებული. შემოსავლებიდან 1,008.8 მლნ ლარი წარმოადგენს გრანტების სახით მიღებულ შემოსავლებს (სრულად სახელმწიფო ბიუჯეტიდან), ხოლო 1,505.4 მლნ ლარი - სხვა შემოსავლებს. არაფინანსური აქტივების კლების მუხლით მიღებული შემოსულობა 10.6 მლნ ლარს შეადგენს, ხოლო ფინანსური აქტივების კლების მუხლით მობილიზებულია 2.1 მლნ ლარი. 2024 წელს სახელმწიფო საწარმოების ვალდებულებების ზრდის მაჩვენებელმა 148.0 მლნ ლარი შეადგინა, საიდანაც 117.7 მლნ ლარი წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულ სესხს.

ცენტრალური ბიუჯეტის გადასახდელები

საქართველოს 2024 წლის ცენტრალური ბიუჯეტის კონსოლიდირებულმა გადასახდელებმა 29,039.8 მლნ ლარი შეადგინა, მ.შ. სახელმწიფო, სსიპ-ების/ა(ა)იპ-ების და სახელმწიფო საწარმოების ბიუჯეტებს შორის გადარიცხული სახსრების (ჯამურად 1,606.9 მლნ ლარი) გარდა სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებმა 24,593.2 მლნ ლარი შეადგინა, სსიპ-ების/ა(ა)იპ-ების გადასახდელებმა - 2,021.9 მლნ ლარი და სახელმწიფო საწარმოების გადასახდელებმა - 2,424.8 მლნ ლარი.

2024 წელს ცენტრალური ბიუჯეტის გადასახდელების 84.7% სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებზე მოდის, 7.0% - ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ-ების/ა(ა)იპ-ების კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლების ფარგლებში გაწეულ გადასახდელებზე, ხოლო 8.3% - სახელმწიფო საწარმოების გადასახდელებზე.

დიაგრამა 84. 2024 წელს ცენტრალური ბიუჯეტის გადასახდელების განაწილება ბიუჯეტების მიხედვით (%).




2024 წელს ცენტრალური ბიუჯეტის გადასახდელების 75.6% მოდის ხარჯების კომპონენტზე, რომლის შესრულების მაჩვენებელმაც 21,953.4 მლნ ლარი შეადგინა. სიდიდით მეორე კომპონენტის (გადასახდელების 18.6%), არაფინანსური აქტივების ზრდის, შესრულების მაჩვენებელი 5,415.2 მლნ ლარით განისაზღვრა. რაც შეეხება ფინანსური აქტივების ზრდისა და ვალდებულებების კლების კომპონენტების მაჩვენებლებს, აღნიშნული კომპონენტების ფარგლებში მოხდა შესაბამისად 283.7 მლნ ლარის (გადასახდელების 1.0%) და 1,387.6 მლნ ლარის (გადასახდელების 4.8%) ათვისება.

ცხრილი 22. 2024 წელს ცენტრალური ბიუჯეტის გადასახდელები კომპონენტების მიხედვით (მლნ ლარი, %)

	2024 წლის ცენტრალური ბიუჯეტი	წილი გადასახდელებში
გადასახდელები	29,039.8	
ხარჯები	21,953.4	75.6%
არაფინანსური აქტივების ზრდა	5,415.2	18.6%
ფინანსური აქტივების ზრდა	283.7	1.0%
ვალდებულებების კლება	1,387.6	4.8%

რაც შეეხება სახელმწიფო, სსიპ-ების/ა(ა)იპ-ების და სახელმწიფო საწარმოების ბიუჯეტების გადასახდელების სტრუქტურას კომპონენტების მიხედვით, ხარჯების კომპონენტის ყველაზე დიდი წილი სსიპ-ების/ა(ა)იპ-ების საკუთარი სახსრებით გაწეული გადასახდელების ფარგლებში დაფიქსირდა - გადასახდელების 80.9%, ხოლო სახელმწიფო საწარმოების შემთხვევაში, ხარჯებმა გადასახდელების 62.8% შეადგინა. სახელმწიფო საწარმოების შემთხვევაში, არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტის მაჩვენებელი მთლიანი გადასახდელების 31.1%-ს შეადგენს, რაც მნიშვნელოვნად აღემატება სსიპ-ების/ა(ა)იპ-ების ანალოგიურ მაჩვენებელს (17.9%). ფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტი, სამივე ბიუჯეტის შემთხვევაში, მცირე წილით ხასიათდება, ხოლო ვალდებულებების კლების კომპონენტი სახელმწიფო საწარმოების გადასახდელების 4.7%-ს და სსიპ-ების/ა(ა)იპ-ების საკუთარი სახსრებით გაწეული გადასახდელების 1.1%-ს შეადგენს.

დიაგრამა 85. 2024 წელს სახელმწიფო, სსიპ-ების/ა(ა)იპ-ების და სახელმწიფო საწარმოების ბიუჯეტების გადასახდელების სტრუქტურა კომპონენტების მიხედვით (%).



ვინაიდან სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების დეტალური ანალიზი დოკუმენტის შესაბამის თაგებშია წარმოდგენილი, ცენტრალური ბიუჯეტის გადასახდელების შესრულების მიმოხილვისას საინტერესოა ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ-ების/ა(ა)იპ-ების კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლების ფარგლებში გაწეული გადასახდელებისა და სახელმწიფო საწარმოების გადასახდელების ანალიზი.

2024 წელს სსიპ-ების/ა(ა)იპ-ების კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლების ფარგლებში გაწეულმა გადასახდელებმა 2,189.5 მლნ ლარი შეადგინა, საიდანაც სახელმწიფო ბიუჯეტში ჩაირიცხა 167.6 მლნ ლარი. შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტში მიმართული სახსრების გარდა, გაწეული გადასახდელები 2,021.9 მლნ ლარს გაუტოლდა.

ცხრილი 23. ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ-ების/ა(ა)იპ-ების კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლების ფარგლებში გაწეული გადასახდელები 2024 წელს (მლნ ლარი).

	სსიპების/ ა(ა)იპების გადასახდელები	სსიპების/ ა(ა)იპების გადასახდელები სახელმწიფო ბიუჯეტში მიმართული სახსრების გარეშე	სხვაობა
გადასახდელები	2,189.5	2,021.9	167.6
ხარჯები	1,771.1	1,617.7	153.4
შრომის ანაზღაურება	663.1	663.1	-
საქონელი და მომსახურება	791.5	791.5	-
პროცენტი	9.8	3.2	6.6
სუბსიდიები	1.5	1.5	-
გრანტები	147.9	1.2	146.8
სოციალური უზრუნველყოფა	20.5	20.5	-
სხვა ხარჯები	136.8	136.8	-
არაფინანსური აქტივების ზრდა	392.3	392.3	-
ფინანსური აქტივების ზრდა	1.0	1.0	-
გაღდებულებების კლება	25.2	10.9	14.3
საშინაო	25.2	10.9	14.3
საგარეო	-	-	-

2024 წელს ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ-ების/ა(ა)იპ-ების კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლების ფარგლებში ხარჯებმა 1,771.1 მლნ ლარი შეადგინა, საიდანაც 44.7% მოდის საქონელი და მომსახურების მუხლზე, ხოლო 37.4% - შრომის ანაზღაურების მუხლზე.

2024 წელს არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გაწეულმა გადასახდელებმა 392.3 მლნ ლარი შეადგინა, აღნიშნული მუხლით გაწეული გადასახდელები ძირითადად მოდის შემდეგ პროგრამებზე: „სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მომსახურების ეფექტიანობის უზრუნველყოფა და ყველა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომობა“ (პროგრამული კოდი 30 07) – 68.0 მლნ ლარი; „სსიპ – საზოგადოებრივი მაუწყებელი“ (პროგრამული კოდი - 42 00) – 61.0 მლნ ლარი; „უმაღლესი განათლება“ (პროგრამული კოდი - 32 04) – 48.3 მლნ ლარი; „სამოქალაქო უსაფრთხოების დონის ამაღლება, სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შექმნა და მართვა“ (პროგრამული კოდი - 30 06) – 34.5 მლნ ლარი; „საგანგებო და გადაუდებელი დახმარების ეფექტური სისტემის ფუნქციონირება“ (პროგრამული კოდი 30 08) – 24.8 მლნ ლარი; „ფიზიკურ და იურიდიულ პირთა (მათ შორის, ქონების), ეროვნული საგანძურის დაცვის და უსაფრთხოების დონის ამაღლება“ (პროგრამული კოდი - 30 03) – 21.2 მლნ ლარი.

რაც შეეხება ვალდებულებების კლებას, 2024 წელს ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ-ების/ა(ა)იპ-ების კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლების ფარგლებში ვალდებულებების კლების მაჩვენებელმა 25.2 მლნ ლარი შეადგინა, საიდანაც 14.3 მლნ ლარი „რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის“ (პროგრამული კოდი - 25 03) პროგრამაზე მოდის, ხოლო 10.9 მლნ ლარი - „სსიპ – საზოგადოებრივი მაუწყებელი“ (პროგრამული კოდი - 42 00).


ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ-ების/ა(ა)იპ-ების კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლების ფარგლებში გაწეული გადასახდელების ანალიზისას საინტერესოა ცენტრალური ბიუჯეტის პროგრამული კლასიფიკაციის მიმოხილვა აღნიშნული დაფინანსების წყაროს ფარგლებში. 2024 წელს 32 მხარჯავი დაწესებულების გადასახდელების შესრულება მოიცავს სსიპ-ების/ა(ა)იპ-ების კანონმდებლობით ნებადართულ შემოსავლებს, მათგან 5 მხარჯავ დაწესებულებას არ ჰქონია სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსება და მხოლოდ კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლების ფარგლებში გაწიეს გადასახდელები. ესენია:

- სსიპ - საპენსიო სააგენტო (პროგრამული კოდი - 60 00) – 14.6 მლნ ლარი;
- სსიპ - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - "საქპატენტი" (პროგრამული კოდი - 61 00) – 7.8 მლნ ლარი;
- სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო (პროგრამული კოდი - 62 00) – 7.5 მლნ ლარი;
- სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური (პროგრამული კოდი - 63 00) – 5.9 მლნ ლარი;
- სსიპ - დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო (პროგრამული კოდი - 64 00) – 1.3 მლნ ლარი.

რაც შეეხება სსიპ-ების/ა(ა)იპ-ების კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლების ფარგლებში გაწეული გადასახდელების განაწილებას ცენტრალური ბიუჯეტის მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით, აღსანიშნავია, რომ 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის მე-7 თავში მითითებული შენიშვნის მიხედვით ცენტრალური ბიუჯეტის ფარგლებში არსებულ სსიპ-ებს/ა(ა)იპ-ებს შორის გადარიცხული სახსრები დაკონსოლიდირებულია „სსიპ-ების/ა(ა)იპ-ების კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლების“ სვეტში. აღნიშნულ ანგარიშში ინფორმაცია დაკონსოლიდირებულია აგრეგირებული მაჩვენებლების დონეზე, ხოლო მხარჯავი დაწესებულებებისა და პროგრამების დონეზე არ არის კონსოლიდირებული. 2024 წლისთვის სსიპ-ებს/ა(ა)იპ-ებს შორის გადარიცხული სახსრები 198.8 მლნ ლარს შეადგენს, რაც სრულად მოდის „გრანტების“ მუხლით გაწეულ ხარჯებზე. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით სსიპ-ების/ა(ა)იპ-ების კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლების ფარგლებში გაწეული გადასახდელების ჯამური მონაცემი 198.8 მლნ ლარით მეტია კონსოლიდირებულ მაჩვენებელზე.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სსიპ-ების/ა(ა)იპ-ების კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლების ფარგლებში გაწეული გადასახდელები მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით.

დიაგრამა 86. 2024 წელს კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლების ფარგლებში გაწეული გადასახდელები მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით (მლნ ლარი).



როგორც დიაგრამაზეა წარმოდგენილი სსიპ-ების/ა(ა)იპ-ების კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლების ფარგლებში მთლიანი გადასახდელების 73.9% (1,765.1 მლნ ლარი) მოდის 4 სამინისტროს მიერ გაწეულ გადასახდელებზე, ესენია: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო - 576.1 მლნ ლარი; საქართველოს იუსტიციის სამინისტრო - 486.9 მლნ ლარი; საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო - 475.0 მლნ ლარი და საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - 227.1 მლნ ლარი.

რაც შეეხება პროგრამებს, რომლებზეც 2024 წელს სსიპ-ების/ა(ა)იპ-ების კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლები მიიმართა, ცენტრალური ბიუჯეტის პროგრამული კლასიფიკაციის მიხედვით ასეთი 70 პროგრამა არის განსაზღვრული, საიდანაც 9 პროგრამას არ ჰქონდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსება. ზემოაღნიშნული 70 პროგრამიდან 7 პროგრამაზე მიიმართა სსიპ-ების/ა(ა)იპ-ების კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლების ფარგლებში გაწეული გადასახდელების 62.4% - 1,491.2 მლნ ლარი.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ზემოაღნიშნული 7 პროგრამის სახელმწიფო ბიუჯეტიდან და კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლების ფარგლებში გაწეული გადასახდელების შესახებ ინფორმაცია 2024 წლისთვის.

ცხრილი 24. 2024 წელს ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ-ების/ა(ა)იპ-ების კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლების ფარგლებში გაწეული გადასახდელები ძირითადი პროგრამების მიხედვით (მლნ ლარი).

პროგრამული კოდი	პროგრამის დასახელება	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტი	კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლები
32 04	უმაღლესი განათლება	588.4	166.7	421.7
30 07	სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მომსახურების ეფექტიანობის უზრუნველყოფა და ყველა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომობა	272.5	-	272.5
23 02	შემოსავლების მობილიზება და გადახდელთა მომსახურების გაუმჯობესება	240.6	19.7	220.9
30 03	ფიზიკურ და იურიდიულ პირთა (მათ შორის, ქონების), ეროვნული საგანძურის დაცვის და უსაფრთხოების დონის ამაღლება	209.1	9.6	199.6
26 08	მიწის რეგისტრაციის ხელშეწყობა და საჯარო რეესტრის მომსახურებათა განვითარება/ხელმისაწვდომობა	192.3	28.6	163.7
26 11	სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა	119.3	0.4	118.9
26 07	იუსტიციის სახლის მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა	99.2	5.3	93.9
სულ ჯამურად		1,721.5	230.2	1,491.2

როგორც ცხრილშია წარმოდგენილი, აღნიშნული პროგრამების დაფინანსების დიდი წილი მოდის კანონმდებლობით ნებადართულ შემოსავლებზე. 2024 წელს ჯამურად მიმართული სახსრების 86.6% მოდის კანონმდებლობით ნებადართულ შემოსავლებზე, ხოლო 13.4% სახელმწიფო ბიუჯეტზე.

2024 წელს, სახელმწიფო საწარმოების მიერ განეულმა გადასახდელებმა 2,510.8 მლნ ლარი შეადგინა, საიდანაც სახელმწიფო ბიუჯეტში ჯამურად ჩაირიცხა 86.0 მლნ ლარი (მ.შ. სესხის დაფარვა - 31.7 მლნ ლარი, პროცენტი - 54.3 მლნ ლარი). შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტში მიმართული სახსრების გარდა განეულმა გადასახდელებმა 2,424.8 მლნ ლარი შეადგინა.

ცხრილი 25. სამთავრობო სექტორს მიკუთვნიებული სახელმწიფო საწარმოების გადასახდელები 2024 წელს (მლნ ლარი).

	სახელმწიფო საწარმოების გადასახდელები	სახელმწიფო საწარმოების გადასახდელები სახელმწიფო ბიუჯეტში მიმართული სახსრების გარეშე	სხვაობა
გადასახდელები	2,510.8	2,424.8	86.0
ხარჯები	1,576.9	1,522.6	54.3
შრომის ანაზღაურება	234.5	234.5	-
საქონელი და მომსახურება	1,172.0	1,172.0	-
პროცენტი	57.6	3.3	54.3
სუბსიდიები	-	-	-
გრანტები	-	-	-
სოციალური უზრუნველყოფა	3.1	3.1	-
სხვა ხარჯები	109.7	109.7	-
არაფინანსური აქტივების ზრდა	780.4	780.4	-
ფინანსური აქტივების ზრდა	35.1	35.1	-
გალდებულებების კლება	118.4	86.7	31.7
საშინაო	118.4	86.7	31.7
საგარეო	-	-	-

2024 წელს სახელმწიფო საწარმოების ხარჯების ფაქტობრივი შესრულება 1,576.9 მლნ ლარით განისაზღვრა, რომლის 74.3% მოდის საქონლისა და მომსახურების მუხლზე (1,172.0 მლნ ლარი).

არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელებმა 780.4 მლნ ლარი შეადგინა, საიდანაც ძირითადი თანხები გაიწია: შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ მიერ 583.1 მლნ ლარის ოდენობით; შპს „საქართველოს მელიორაცია“ - 45.8 მლნ ლარი; შპს „ანაკლიის საზღვაო ნავსადგური“ - 45.6 მლნ ლარი და შპს „ემ თი ეი“ - 38.4 მლნ ლარი.

ფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელებმა, 2024 წელს, 35.1 მლნ ლარი შეადგინა. გალდებულებების კლების მუხლის მაჩვენებელი 118.4 მლნ ლარით განისაზღვრა. აღნიშნული გადასახდელები (118.4 მლნ ლარი) ძირითადად მოდის შპს „დელტა მშენებელზე“ – 42.0 მლნ ლარი, შპს „საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის მესაკუთრეზე“ – 30.6 მლნ ლარი და შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაზე“ – 22.0 მლნ ლარი.

ცხრილი 26. 2024 წელს მსხვილი სახელმწიფო საწარმოების მიერ განეული გადასახდელები (მლნ ლარი)

დასახელება	2024 წელს განეული გადასახდელები
შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია	790.5
სს ესკო	754.0
შპს დელტა მშენებელი	121.7
შპს მოსავლის მართვის კომპანია	103.1
შპს ემ თი ეი	94.1
შპს საქართველოს მელიორაცია	90.0
სულ	1,953.5

სახელმწიფო საწარმოების მიერ განეული გადასახდელების 77.8% მოდის 6 სახელმწიფო საწარმოზე, რომელთა გადასახდელების ჯამური შესრულება 1,953.5 მლნ ლარს შეადგენს.

დანართი 2: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება (მლნ ლარი)

დასახელება	2023 ფაქტი	2024 საწყისი გეგმა	2024 წლიური გეგმა*	2024 დაზუსტ. გეგმა	2024 ფაქტი	2024 ფაქტი / დაზუსტ. გეგმა	2024 ფაქტი / წლიური გეგმა	2024 ფაქტი / საწყისი გეგმა	%-ული ცვლილება წინა წელთან
შემოსულობები	22,680.0	24,569.5	25,696.0	25,696.0	25,755.3	100.2%	100.2%	104.8%	13.6%
შემოსავლები	18,716.5	20,731.0	21,726.0	21,726.0	21,848.8	100.6%	100.6%	105.4%	16.7%
გადასახადები	16,994.2	19,115.0	20,190.0	20,190.0	20,196.5	100.0%	100.0%	105.7%	18.8%
საშემოსავლო გადასახადი	5,574.8	6,345.1	6,598.9	6,598.9	6,627.7	100.4%	100.4%	104.5%	18.9%
მოგების გადასახადი	2,018.2	2,690.0	3,070.0	3,070.0	3,117.5	101.5%	101.5%	115.9%	54.5%
დღგ	6,793.7	7,388.3	7,541.1	7,541.1	7,558.8	100.2%	100.2%	102.3%	11.3%
აქციზი	2,270.3	2,375.0	2,380.0	2,380.0	2,488.0	104.5%	104.5%	104.8%	9.6%
იმპორტის გადასახადი	151.2	150.0	135.0	135.0	138.9	102.9%	102.9%	92.6%	-8.1%
სხვა გადასახადები	186.0	166.6	465.0	465.0	265.6	57.1%	57.1%	159.4%	42.7%
გრანტები	325.8	266.0	266.0	266.0	335.9	126.3%	126.3%	126.3%	3.1%
სხვა შემოსავლები	1,396.5	1,350.0	1,270.0	1,270.0	1,316.4	103.7%	103.7%	97.5%	-5.7%
არაფინანსური აქტივების კლება	203.4	200.0	300.0	300.0	301.3	100.4%	100.4%	150.7%	48.2%
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	290.8	300.0	300.0	300.0	344.6	114.9%	114.9%	114.9%	18.5%
გალდებულებების ზრდა	3,469.3	3,338.5	3,370.0	3,370.0	3,260.6	96.8%	96.8%	97.7%	-6.0%
საშინაო	1,459.4	1,500.0	1,500.0	1,500.0	1,521.3	101.4%	101.4%	101.4%	4.2%
საგარეო	2,009.9	1,838.5	1,870.0	1,870.0	1,739.3	93.0%	93.0%	94.6%	-13.5%
გადასახდელები	22,350.2	25,030.4	25,930.4	25,930.4	25,946.3	100.1%	100.1%	103.7%	16.1%
ხარჯები	16,928.6	19,120.9	19,961.8	20,082.8	20,048.5	99.8%	100.4%	104.9%	18.4%
შრომის ანაზღაურება	2,177.2	2,577.3	2,633.0	2,590.4	2,586.0	99.8%	98.2%	100.3%	18.8%
საქონელი და მომსახურება	2,139.0	2,232.0	2,232.5	2,293.6	2,301.3	100.3%	103.1%	103.1%	7.6%
პროცენტი	1,182.2	1,540.0	1,480.0	1,479.3	1,472.4	99.5%	99.5%	95.6%	24.5%
სუბსიდიები	943.9	1,044.9	1,146.1	1,121.9	1,165.2	103.9%	101.7%	111.5%	23.4%
გრანტები	1,423.3	1,513.0	1,682.5	1,721.6	1,706.6	99.1%	101.4%	112.8%	19.9%
სოციალური უზრუნველყოფა	6,805.9	7,470.4	7,720.4	7,827.8	7,787.3	99.5%	100.9%	104.2%	14.4%
სხვა ხარჯები	2,257.1	2,743.2	3,067.3	3,048.3	3,029.7	99.4%	98.8%	110.4%	34.2%
არაფინანსური აქტივების ზრდა	3,972.8	4,180.6	4,399.7	4,160.4	4,242.5	102.0%	96.4%	101.5%	6.8%
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	355.9	305.6	260.6	379.5	365.3	96.3%	140.2%	119.5%	2.6%
გალდებულებების კლება	1,092.9	1,423.4	1,308.4	1,307.8	1,290.0	98.6%	98.6%	90.6%	18.0%
საშინაო	42.6	42.7	42.7	45.3	45.3	100.0%	106.0%	106.0%	6.3%
საგარეო	1,050.3	1,380.6	1,265.6	1,262.4	1,244.7	98.6%	98.3%	90.2%	18.5%
ნაშთის ცვლილება (+ დაგროვება / - გამოყენება)	329.8	-460.9	-234.4	-234.4	-191.1				

* 2024 წლის წლიური გეგმა გულისხმობს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის 2024 წლის დეკემბრის ცვლილებით დამტკიცებულ გეგმურ მარგენებებს.

დანართი 3: სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი (მლნ ლარი)

დასახელება	2023 ფაქტი	2024 სანყისი გეგმა	2024 წლიური გეგმა	2023 დაბუსტ. გეგმა ⁴	2024 ფაქტი	2024 ფაქტი / დაბუსტ. გეგმა	2024 ფაქტი/ წლიური გეგმა	2024 ფაქტი/ სანყისი გეგმა	%-ული ცვლილება წინა წელთან
შემოსავლები	18,716.5	20,731.0	21,726.0	21,726.0	21,848.8	100.6%	100.6%	105.4%	16.7%
გადასახადები	16,994.2	19,115.0	20,190.0	20,190.0	20,196.5	100.0%	100.0%	105.7%	18.8%
გრანტები	325.8	266.0	266.0	266.0	335.9	126.3%	126.3%	126.3%	3.1%
სხვა შემოსავლები	1,396.5	1,350.0	1,270.0	1,270.0	1,316.4	103.7%	103.7%	97.5%	-5.7%
ხარჯები	16,928.6	19,120.9	19,961.8	20,082.8	20,048.5	99.8%	100.4%	104.9%	18.4%
შრომის ანაზღაურება	2,177.2	2,577.3	2,633.0	2,590.4	2,586.0	99.8%	98.2%	100.3%	18.8%
საქონელი და მომსახურება	2,139.0	2,232.0	2,232.5	2,293.6	2,301.3	100.3%	103.1%	103.1%	7.6%
პროცენტი	1,182.2	1,540.0	1,480.0	1,479.3	1,472.4	99.5%	99.5%	95.6%	24.5%
სუბსიდიები	943.9	1,044.9	1,146.1	1,121.9	1,165.2	103.9%	101.7%	111.5%	23.4%
გრანტები	1,423.3	1,513.0	1,682.5	1,721.6	1,706.6	99.1%	101.4%	112.8%	19.9%
